პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 66 (20712) ხუთშაბათი, 22 მარტი, 1990 წელი. ფასი 3 კაპ.

მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1990 წლის 16 მარტს

ვინდა მოკლედ განვაზოგადო ის დისკუსია, რომელიც ამ დღეებში გაიმართა პლენუმზე პარტიის ეხოვრებისათვის პრინციპული მნიშვნელობის საკითხებზე. დისკუსიის მიმდინარეობის, აქ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების განზოგადებისას მე ასეთ მომენტებს ვიდებ ანგარიშგაზე.

პირველ. რაც შეეხება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმას, იგი გამოქვეყნებულია და უკვე განიხილება პარტიასა და საზოგადოებაში. იმას, რაც აქ ითქვა მასთან დაკავშირებით, მათ შორის გამოსვლებსაც, რომლებშიც აღინიშნა მისი ცალკეული დებულებების სისუსტე, აღვიქვამ როგორც წინასაყრილობო დისკუსიის ნაწილს, წვლილს იმში, რომ პარტიის ყრილობისათვის დავხვეწოთ პლატფორმის პროექტი უკვე არსებული აზრისა და იმის გათვალისწინებით, რაც გამოითქმება, და განსახილველად წარვუდგინოთ ყრილობას. ვფიქრობ, რომ ამ შენიშვნების, ისევე როგორც მთელ დისკუსიის შედეგების გათვალისწინებით, რომელიც ყრილობის წინ გაიმართება, ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, მივიღებთ იმ პარტიულ საპროგრამო დოკუმენტს, რომელიც შეესაბამება რეალობებს და პარტიის საქმიანობას მტკიცე პერსპექტივას დაუსახავს. იმის გათვალისწინებით კი, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია უარს არ ამბობს პოლიტიკური ავანგარდის როლზე და ცდილობს პარტიული დოკუმენტების მეშვეობით ჰამოაყალიბოს საქმიანობის პროგრამა, თავისი შეხედულება იმაზე, თუ როგორ ვხედავთ განვითარების პერსპექტივას, საზოგადოება მიიღებს დოკუმენტს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნება.

ასეთ რეკომენდაციას მოვახდენდი დისკუსიის ამ ნაწილზე. ეს პირველი. მეორე. წესდების შესახებ. ვფიქრობ, არავის არ გუხდია ფიქვოდ მთლიანად ის პროექტი, რომელიც ახლა განხილება ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, არ უთქვამს, რომ შინაარსითა და ფორმით იგი ისეთ მდგომარეობაშია, რომ საჭიროა მისი უარყოფა.

აქ არის კარგი საფუძველი. ბევრი აღნიშნავდა, რომ პროექტმა ქვისსხლხორცა ყოველივე ის, რაც უკვე ღრმად იყო მოფიქრებული, გამოითქმებოდა პარტიულ ორგანიზაციაში. აქ ამხანაგები კი ითხოვენ, ვინ დაწერა იგი, ავტორი სად არისო? როგორც ჩანს, აქ თავს იჩენს, ასე ვთქვათ, გარდამქმნადელი სტერეოტიპები: ყველას ისე ჰგონია, თითქოს იგი ვიღაც ერთს დაეწეროს და ა. შ. ეგ ზომ მოხსენებაში ვთქვი, თუ წესდების რამდენი ალტერნატიული ვარიანტი მიიღო ცენტრალურმა კომიტეტმა. ყველა ახლი ბანიხილეს ცენტრალური კომიტეტის კომისიებში, პოლიტბიუროში. გარდა ამისა, მიიღებულია ბევრი წერილი, რომლებშიც არის პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების შენიშვნები და წინადადებანი. ამიტომ, ვფიქრობ, ამხანაგები დამეთანხმებიან, ვერ გავაზიარებთ მოსაზრებებს, თითქოს ეს ... კანტორის დოკუმენტი იყო, რომელიც, ასე ვთქვათ, კაბინეტურად მომზადებულიყოს.

და მაინც, თუმცა აქ არის სიფუძველიც, წერილობითი სახით შეტანილი შენიშვნებიც, და ის, რაც გასმა პლენუმზე ცენტრალური კომიტეტის წევრთა, პარტიული კომიტეტების მდივანთა, განსაკუთრებით საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივანთა გამოსვლებში, რომლებიც აქ მოვიწვიეთ, ეჭვმობს, რომ ამ საფუძველს სერიოზული გამდიდრება სჭირდება.

როცა გამოსვლებს ვისმენდი, შენიშვნებს ვაკეთებდი. მათში განსაკუთრებით ძლიერად გაისმა მთელი რიგი მომენტებისა, რომლებიც, ჩემი აზრით, მხედველობაში უნდა მივიღოთ. ყოველივე ეს უნდა გავაანალიზოთ და, როგორც ჩანს, დღეს ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ვერ დავასრულებთ მუშაობას პროექტზე. მაგრამ უნდა შევთანხმდეთ შემდგომ მუშაობაზე, იმაზე, თუ როგორ ვიმუშავებთ პროექტზე, როგორ შევთანხმებთ პრინციპულ საკითხებს, რომლებსაც ასახვა სჭირდებათ, რათა ეს, ასე ვთქვათ, არ იყოს საყოველთაო კომისიის ან პოლიტბიუროს გამონაგონი.

წესდების პროექტის გამო დისკუსიას რომ ვაჯამებ, მინდა გამოვყო ის, რაზეც ჩვენ მაინც შეეჭიდოთ, — ასე ვთქვათ, შეავჯამო შენიშვნები, რომლებსაც ყურადღება მივაპყარი და რომლებსაც, ჩემი აზრით, პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

უწინარეს ყოვლისა, ამხანაგებმა მხარი დაუჭირეს იმას, რომ ბოლომდე დავამუშაოთ პრეამბულა, ზუსტად განვსაზღვროთ მასში საბოლოო მიზნები, რომლებსაც პარტია ისახავს და აყენებს საზოგადოების წინაშე, რას მოუწოდებს იგი ხალხს.

ორატორებმა მხარი დაუჭირეს იმასაც, რომ უფრო ზუსტად იყოს მონიშნული იდეური საფუძვლები, რომლებზეც პარტია იმოქმედებს, და რომლებსაც იგი დაიცავს. ეს ფრიად საჭიროა, რადგან საქმე ეხება ორიენტირებს ქვეყნის ცხოვრებისათვის, რომლებსაც ისინი სთავაზობენ მთელ საზოგადოებასაც.

შემდეგ ამხანაგებმა მხარი დაუჭირეს იმას, რომ პარტიის დემოკრატიზაციის იდეებით იყოს გამსჭვალული წესდების ყველა კარი, რათა ეს შეტად იყოს ხაზგასმული დებულებებში პარტიის უმაღლესი ეშელონების შესახებ, აისახოს დებულებებში მოკავშირე რესპუბლიკების კომუნისტური პარტიების როლის ამაღლების შესახებ და ა. შ.

მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, წესდებაში უფრო მკაფიოდ უნდა იყოს ჩაწერილი, რეალიზებული ლენინის აზრი იმის შესახებ, თუ არსებითად რით უნდა გამოვლინდეს დემოკრატიზაცია პარტიაში, — კერძოდ პარტიული მასების ძალაუფლების დამკვიდრებიაო (წესდების მეშვეობით, მისი ნორმის მეშვეობით). თუ ყურადღება მიაპყარით, ვცდილობდით ამის მიღწევას. კომუნისტთა გავლენა ისეთი უნდა იყოს, რომ ისინი თავად წყვეტდნენ დელეგატთა არჩევნების საკითხებს, რომლებიც ამუშავებენ გადაწყვეტილებებს ყველა პარტიული საქმის გამო. ეს ჩაწერილია პროექტში. ჩვენ კომუნისტებისაგან მივიღეთ იდეა პარტიაში (ყველა დონეზე) კრებებზე, კონფერენციებზე, ყრილობებზე პირველ პირთა არჩევნების შესახებ. მართალია, ზოგს ეჭვი შეეპარა, ვაითუ ამან ისეთი სიტუაცია შექმნას, რომელიც ამ პირებს კონტროლს აიცილებსო. ეს არის, არის. მაგრამ მაინც კომუნისტები დაკონენთი მოითხოვენ, რომ ისინი თვითონ წყვეტდნენ საკითხს მდივნების შესახებ თავიანთ კრებებზე ან დელეგატების მეშვეობით, რომლებიც მათ აირჩიეს ოლქების მიხედვით ან პირველადს ორგანიზაციებში. თვითონ განსაზღვრავდნენ ადამიანებს, რომლებიც მათ უმეთაურებენ ამა თუ იმ ვადით. ალბათ, ჩვენ (თუ ვერთგულობთ პარტიული მასების ძალაუფლების იდეას) უნდა დავტოვოთ ეს განსზღვისათვის მაინც. იმის მიუხედავად, რომ ზოგს ეს საეჭვოდ მიაჩნია.

და ბოლოს, ვგრძნობ, რომ ამხანაგები, მათ შორის ისინიც, ვინც მხარს უჭერს დემოკრატიისა და დისციპლინის, დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების ახალი წაკითხვის იდეას, მაინც არ ეთანხმებიან იმას, რომ წესდების პროექტიდან ამოღებულ იქნეს თვით „დემოკრატიული ცენტრალიზმის“ ცნება.

ხმები. (გამოცოცხლება დარბაზში).

მ. ს. გორბაჩოვი. უნდა გავერკვეთ. იმ მიდგომების საერთო მოწონების პირობებში, რომლებიც ყალიბდება ახალ წესდებაში, ვხედავ, რომ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე არის სურვილი მასში შევინარჩუნოთ ეს ტერმინი.

ხმები. დიახ.

მ. ს. გორბაჩოვი. მინდა გავარკვიო კიდევ მთელი რიგი პრინციპული საკითხები. ჩვენ გვქონდა დისკუსია პოლიტბიუროში, დავტოვოთ თუ არა წესდებაში შესაძლებლობა პარტიაში შეიქმნას პარალელური სტრუქტურები. მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ ამას არ უნდა მოპყვეს პარტიული სტრუქტურის რღვევა. მაგრამ, რა თქმა უნდა, შეიძლება არსებობდეს პარტიული მუშაობის სულ სხვადასხვაგვარი ფორმები. და ის, რაც ჩავწერეთ, პრაქტიკულად უკვე მრავალი წელია გამოიყენება. ჯერ კიდევ მაშინ, როცა სტავროპოლის სამხარეო პარტორგანიზაციაში ვმუშაობდი, უკვე იყო მდივანთა საბჭოები, საცოვრებელი ადგილის მიხედვით პარტიულ ორგანიზაციათა გაერთიანებები და სხვა. ამიტომ, იქნებ, საჭირო იყოს ჩამოვაყალიბოთ უფრო ზუსტად: საქმე ეხება არა სტრუქტურებს, არამედ, როგორც ამბ. რუეიკიმ თქვა, მუშაობის ფორმებს. ვფიქრობ, მთლიანად ამ თემის მოხსნა არ ღირს, რადგან, ეს პარტიულ ორგანიზაციებს შესაძლებლობას აძლევს გამოიყენონ მიდგომათა ფართო სპექტრი პარტიული საქმიანობის გაკეთებისათვის. ერთი სიტყვით, იმის წინააღმდეგი ვარ, რომ დავუშვათ პარალელური სტრუქტურები, მაგრამ იმას ვუჭერ მხარს, რომ ხაზგასმით აღვნიშნოთ მუშაობის ფორმების მრავალფეროვნება.

ახლა აქ აღინიშნა, რომ წესდების პროექტში საკმარისად არ არის „ჩაწერილი“ პირველადი პარტორგანიზაცია. ასეთი სურვილი კი გამოითქვა პარტიულ აქტივთან, პარტიული კომიტეტების მდივნებთან შეხვედრებზე. დღეს ეს თქვა ამბ. სოვეტმაც თავის კარგ გამოსვლაში.

არადა, გვქონდა წესდების პროექტის ვარიანტი, რომელშიც ამაზე დაწვრილებით იყო ლაპარაკი. ბევრმა მდივანმა, რომლებიც ცენტრალურ კომიტეტში იყვნენ, თქვა: „თქვენ წესდებაში კვლავაც დეტალურად იყალიბებთ მითითებებს პირველადი ორგანიზაციისადმო“. რაკი ეს აღარ არის, — მაშასადამე, ეძლევა კიდევ შესაძლებლობა იმოქმედოს. საჭიროა მხოლოდ პრინციპული პოლიტიკური და იდეოლოგიური ორიენტირები, იქ კი, დაე, პარტორგანიზაცია დამოუკიდებლად მოქმედებდეს.

სწორედ ამიტომ არის საჭირო გავერკვეთ. ჩვენ, რა თქმა უნდა, შეგვიძლია განვსაზღვროთ პირველადი ორგანიზაციის კომუნისტის უფლება-მოვალეობანი, მაგრამ ეს, ამხანაგებო, ინსტრუქციას დაემსგავსება, თუ რა უნდა აკეთონ მათ ყოველდღე. ეს კი ის არის, რის წინააღმდეგაც ილაშქრებთ. ვფიქრობ, თავიდან უნდა ავიცილოთ უკიდურესობანი. არ ვიარით დეტალური ინსტრუქციების წერის გზით — ეს ყველაზე უარესი ვარიანტია, მაგრამ, ალბათ, წესდებასაც ინსტრუქციად არ გადააქცევთ.

ვფიქრობ, რიგიანად ვერ ჩავწერეთ პროექტში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიიდან გამოსვლის უფლება.

ხმები. დიახ.

მ. ს. გორბაჩოვი. ეს ნებაყოფლობითი ორგანიზაციაა, იგი გულისხმობს, რომ გამოსვლაც ნებაყოფლობით შეიძლება. ეს ლოგიკურია. სხვა საქმეა, რომ კომუნისტები გამოსვლის ყოველ შემთხვევას არ უნდა ეკიდებოდნენ ასე: „წავიდა და, კარგად იყოსო!“. ამგვარი ფაქტები პირველადი პარტორგანიზაციის განხილვის საგანი უნდა იყოს. არა მგონია, რომ ეს ყოველთვის უნდა მივიჩნიოთ როგორც პარტიიდან გარიცხვა, მაგრამ ასეთი ფაქტი უნდა დაიგმოს და პარტორგანიზაციამ აქედან გამოიტანოს დასკვნები, მიიღოს თავისი გადაწყვეტილება. თუ თანხმა ბრძანდებით, უნდა ჩაიწეროს ისეთნაირად, რომ პარტია არ გამოიყურებოდეს „გასავლელ ეზოდ“.

ვფიქრობ, ამხ. ჩურილოვმა ბევრი რამ მარჯვედ შენიშნა: უნდა დავუმატოთ ერთი-ორი ფრაზა, რათა ყველა დებულება სულ ცოტა შეიცავდეს საწესდებო მოთხოვნათა რეალიზაციის მექანიზმის მინიშნებას. ერთი შემთხვევაში — ანგარიშს, მეორე შემთხვევაში — არჩევითობას, მესამეში — ქვეკონტროლობას და ა. შ. ამ თვალსაზრისით წესდება დახვეწას მოითხოვს.

და მინდა შევეხო ერთ რამეს, რაც სკეილდება თვით წესდების ფარგლებს, მაგრამ ამასთან არის დაკავშირებული. შევეხო XXVIII ყრილობისათვის მზადების კომისიას. ჩვენ გვაქვს ცენტრალური კომიტეტის კომისია, მაგრამ, იქნებ ისე მოვიქცეთ, რომ სკკპ ცენტრალურ კომიტეტთანაც შეექმნათ კომისია, რომელშიც შევლენ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, საოლქო, სამხარეო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების, პირველადი ორგანიზაციების მდივნები და უბრალოდ აქტიური კომუნისტები, რომლებსაც სათქმელი აქვთ. ვფიქრობთ, ეს იქნება საკონსულტაციო, მაგრამ დემოკრატიული, წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც გაიგლის პარტორგანიზაციებიდან მოსული მთელი ფოსტა, წინადადებანი. ამით ექვი არ დაებადებათ კომუნისტებს, რომ ყველაფერი აპარატში წავიდა და სადღაც დაიკარგა. თქვენი დავალების საფუძველზე პოლიტბიუროს შეუძლია შექმნას ისეთი კომისია პარტორგანიზაციათა წინადადების გათვალისწინებით.

რუსეთის შესახებ. ის, რაც მოხსენებაში ითქვა, უნდა შევასრულოთ, რათა შებასამისი კალაპოტით წარვმართოთ მზადება, პროცესები, რომლებიც რუსეთის პარტიულ ორგანიზაციებში წარმოიქმნა. თავის არიდების უფლება არა გვაქვს, ცენტრალური კომიტეტი ამას უნდა დაეთანხმოს, გააერთიანოს მეცადინეობა. ჩვენ უპატივცემლობას ვერ გამოვიჩენთ კომუნისტთა ასეთი უდიდესი რაზმისადმი. ამიტომ ამას ცალკე საკითხად გამოვყოფდი და შემოგთავაზებდით მივიღოთ მოკლე პრინციპული გადაწყვეტილება.

და ბოლოს, ჩვენ უნდა მივიღოთ დოკუმენტი ანგარიშგება-არჩევნების შესახებ. საკითხზე, თუ როდის მოვაწყოთ ისინი, აზრი გაიყო, ნახევარი ნახევარზე... ან იქნებ მაინც ყრილობამდე?

ხმები. ყრილობამდე.

მ. ს. გორბაჩოვი. აი შესვენებიდან დავბრუნდი, საქალაქდე გაპო იძლევა გაფრთხილებას, რომ თუ რესპუბლიკური ორგანოები მიიღებენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც დაარღვევენ ქვეყნის საფინანსო-საკრედიტო სისტემის ერთიანობას, სსრ კავშირის საგარეოეკონომიკურ კავშირურთიერთობას ეს მინიეული იქნება მოქმედებად, რომელიც ეწინააღმდეგება სსრ კავშირის კანონმდებლობას, მოკავშირე რესპუბლიკებისა და მთლიანად კავშირის ინტერესებს.

ესმის რა ლიტვის სსრ პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ეროვნულ-კულტურული განვითარების პრობლემები, პატივს სცემს მისი ხალხის მისწრაფებას საზოგადოების განახლებისა და რესპუბლიკის სუვერენიტეტის განმტკიცებისადმი, სსრ კავშირის მთავრობას მიაჩნია, რომ ამ ამოცანების გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ სსრ კავშირის კანონმდებლობის ზუსტი დაცვით და ლიტვის სსრ და სხვა რესპუბლიკების ხალხთა ურთიერთინტერესების გათვალისწინებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

ნ. რიჟკოვი.

სსრ კავშირის მთავრობის განცხადება

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ოიგგარეშე, მესამე ყრილობამ ბათილად ცხო ლიტვის სსრ უზენაესი საბჭოს საკანონმდებლო აქტები „ლიტვის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ“, აგრეთვე რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლიტვის სსრ კონსტიტუციისა და სსრ კავშირის კონსტიტუციის მოქმედების გაუქმების შესახებ.

რესპუბლიკიდან მ. სული ცნობა მოწმობს, რომ იქ სასწრაფოდ ამუშავებენ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა სტატუსის შეცვლის, კერძო საკუთრებაში სახელმწიფო საწარმოთა გადაცემის, საკუთარი ვალუტის შემოღების, საბაჟო სამსახურის დაწესების გეგმებს და სხვა. ამით ხორციელებენ ღონისძიებებს, რომლებიც ძირს უთხრის ქვეყნის სახალხო-სამეურნეო კომპლექსთან ლიტვის სსრ ეკონომიკის კავშირს. საკუთა მოქმედებამ შეიძლება დაზიანებელი გავლენა მოახდინოს რესპუბლიკაში საერთო სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაზე, მშრომელთა და მოსახლეობის სხვა ფენების მდგომარეობაზე.

ანიშებს რა დიდ მნიშვნელობას ლიტვის სსრ ეკონომიკისა და უწინარეს ყოვლისა რესპუბლიკის მოსახლეობის სიცოცხლის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ობიექტების სტაბილურ ფუნქციონირებას, სსრ კავშირის მთავრობა ყურადღებას მიაპყრობს იმას, თუ რა საშიშია სხვა მოკავშირე რესპუბლიკების საწარმოებთან ლიტვის სსრ საწარმოთა კავშირურთიერთობის დარღვევა. ნორმალური ეკონომიკური ურთიერთობა მოითხოვს ყველა სახეობის პროდუქციის მიწოდების ურთიერთსახელშეკრულებო ვალდებულებათა განხორციელებას, 1990 წლის საწარმოო პროგრამების შესრულებას.

ამასთან სსრ კავშირის მთავრობა ხაზს უსვამს, რომ ლიტვის სსრ ტერიტორიაზე არსებული საკავშირო დაქვემდებარების ყველა ობიექტი სსრ კავშირის საკუთრებაა. მათი სტატუსი, პროფილი და საქმიანობის პირობები ვერ შეიცვლება რესპუბლიკური ორგანოების ცალმხრივი გადაწყვეტილებებით. ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდმივ ორგანოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს მიეცათ მითითება, არ დაიწყონ არა, ვითარი მოლაპარაკება მათი საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციების ლიტვის სს რესპუბლიკის გამგებლობაში გადაცემის შესახებ. საერთო-საკავშირო საკუთრების აღნიშნული ობიექტების მართვას უშუალოდ განახორციელებენ სსრ კავშირის სამინისტროები.

იმის გათვალისწინებით, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ატომური ენერგეტიკული დანადგარებისა და საერთო-საკავშირო საკუთრების სხვა უმნიშვნელოვანესი ობიექტების ექსპლოატაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფას შესაბამის ორგანოებს დაევალათ კარდინალურად გაძლიერონ აღნიშნული ობიექტების დაცვა.

სსრ კავშირის მთავრობამ დაავალა რკინიგზების, საზღვაო ფლოტის, თევზის მეურნეობისა და სამოქალაქო ავიაციის სამინისტროებს უზრუნველყონ საერთო-საკავშირო მნიშვნელობის სატრანსპორტო კომუნიკაციების შეუფერხებელი მუშაობა ლიტვის სსრ, აგრეთვე რუსეთის სფსრ კალინინგრადის ოლქის მოსახლეობის კლაიპედის ნავსადგურით სატრანზიტო ტვირთზიდვის ინტერესებისათვის.

მთავარ საბაჟო სამმართველოს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს დაევალათ უზრუნველყონ დადგენილი საბაჟო რეჟიმი ლიტვის სსრ ტერიტორიაზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

ნ. რიჟკოვი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესია

20 მარტს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს რიგგარეშე მეთოთხმეტე სესია.

სესიამ განიხილა საკითხები:

1. საქართველოს სსრ კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებების შეტანის შესახებ კანონის პროექტის თაობაზე;

2. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების გადატანის შესახებ.

ორივე საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გივი გუმბარიძემ.

სესიამ მიიღო საქართველოს სსრ კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებების შეტანის შესახებ კანონი.

სესიამ დაადგინა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა და რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების (ადგილობრივ საბჭოებში ...) გადატანილ იქნეს შესაბამისად 1990 წლის ოქტომბერ-ნოემბერში. შესაბამისად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მეთერთმეტე მოწვევის დეპუტატთა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების რწმუნების ვადა გაგრძელდება.

ამით სესიამ მუშაობა დაამთავრა. (საქინფორმი).

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

საქართველოს სსრ კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებების შეტანის შესახებ

რესპუბლიკაში მიმდინარე პოლიტიკური გარდაქმნების გაღრმავების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების განმტკიცების მიზნით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე-6, მე-7 და 49-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. საქართველოს კომუნისტური პარტია, სხვა პოლიტიკური პარტიები, აგრეთვე პროფკავშირული, ახალგაზრდული, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მასობრივი მოძრაობები სახალხო დეპუტატთა საბჭოებში არჩეული თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით და სხვა ფორმებით თანაბარ საფუძველზე მონაწილეობენ სახელმწიფოს პოლიტიკის შემუშავებაში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში“.

„მუხლი 7. ყველა პოლიტიკური პარტია, საზოგადოებრივი ორგანიზაცია და მასობრივი მოძრაობა, ასრულებს რა თავისი პროგრამითა და წესდებით გათვალისწინებულ ფუნქციებს, მოქმედებს საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და კანონების ფარგლებში.

დაუშვებელია ისეთი პარტიების, ორგანიზაციებისა და მოძრაობების შექმნა და საქმიანობა, რომელთა მიზანია რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილებისა და მთლიანობის ძალადური შეცვლა, მისი უშიშროებისათვის ძირის გამოთხრა, ეროვნული და რელიგიური შუღლის გაღვივება“.

„მუხლი 49. საქართველოს სსრ მოქალაქეებს უფლება აქვთ გაერთიანდნენ პოლიტიკურ პარტიებად, საზოგადოებრივ ორგანიზაციებად, მონაწილეობდნენ მასობრივ მოძრაობებში, რომლებიც ხელს უწყობენ პოლიტიკური აქტიურობისა და თვითმოქმედების განვითარებას, მათი მრავალგვარი ინტერესების დაკმაყოფილებას.

საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გარანტირებული აქვთ პირობები თავიანთი საწესდებო ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის“.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1990 წლის 20 მარტი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების გადატანის შესახებ

საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოსა და მის პრეზიდიუმში შემოვიდა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატების, დეპუტატობის კანდიდატების, პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მრომითი კოლექტივების, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებების წინადადებები 1990 წლის 25 მარტს დანიშნული რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და ამავე წლის 17 ივნისს დანიშნული ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა არჩევნების შესახებ.

წერილებსა და მომართვებში გამოთქმულია აზრი არჩევნების აღნიშნულ ვადებში ჩატარების მიზანშეუწონლობის შესახებ. წარმოდგენილი მოსაზრებები დასაბუთებულია მრავალპარტიულობის შემოღების მოტივით.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნები გადატანილ იქნეს 1990 წლის ოქტომბერ-ნოემბერში. შესაბამისად გაგრძელდეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მე-11 მოწვევისა და ადგილობრივი საბჭოების მე-20 მოწვევის დეპუტატთა რწმუნების ვადა.

2. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა შეიმუშაოს და წარმოადგინოს ამ დადგენილებიდან გამომდინარე წინადადებები რესპუბლიკის კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1990 წლის 20 მარტი.

შეხვედრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

19 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები შეხვდნენ ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებსა და წევრობის კანდიდატებს. შეხვედრაზე განიხილეს რესპუბლიკის კომპარტიის მომავალ, XX ყრილობასთან დაკავშირებული საკითხები.

აზრთა გულახდილი გაზიარების დროს აღინიშნა, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია რესპუბლიკაში კვლავ რთულია, მიმდინარეობს პოლიტიკური პოზიციების პოლარიზაცია რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და ესტონეთის კომპარტიის დამოუკიდებლობის პრობლემათა გარშემო.

შეხვედრის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე მიიღონ გადაწყვეტილებანი, რომლებიც მკაფიო და სრულ პასუხს გასცემენ იმას, თუ რა რეალური შინაარსით შეიავსება განახლებადი ფედერაცია და რესპუბლიკების კომპარტიათა დამოუკიდებლობა. ითქვა აგრეთვე, რომ საჭიროა ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების შემუშავება.

შეხვედრაზე გამოვიდა მ. ს. გორბაჩოვი. (საკდესი).

შეხვედრა ლატვიის სსრ ხელმძღვანელებთან

20 მარტს მ. ს. გორბაჩოვმა მიიღო ლატვიის სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ვ. გორბუნოვი, ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. ი. ვაგრისი და ლატვიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ.-ე. ვ. ბრესისი, საუბარს ესწრებოდნენ სახალხო დეპუტატები ი. ო. ბიშერი, მ. გ. ვულფსონი.

საუბრის ცენტრში იყო ფედერაციის განვითარებასთან, სამოკავშირეო ხელშეკრულების პრინციპებთან დაკავშირებული საკითხები. ამავე დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა პრაქტიკულად იმუშაონ ამ საკითხებზე წინადადებათა მოსამზადებლად.

(საკდესი).

საქართველოს კომკავშირის ყრილობა

20 მარტს ახალგაზრდულ ქალაქ შავნაბადაში გაიხსნა საქართველოს კომკავშირის რიგგარეშე ყრილობა.

პოლიტიკური მოხსენება გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა სესილი გოგიბერიძემ.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

ეროვნული ფორუმის სახელით შეკრებილთ მიმართეს მისმა წარმომადგენლებმა ირაკლი წერეთელმა და ირაკლი კაკაბაძემ.

ყრილობაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გივი გუმბარიძე.

* * *

რესპუბლიკის მთელ საზოგადოებრიობასა აწუხებდა კითხვა: შეწყვეტს თუ არა არსებობას საქართველოს კომკავშირი, ან თუ დარჩება, — რა ფორმით? — მაგრამ ამ კითხვაზე ერთგვაროვანი პასუხი ვერ გასცა ვერც კომკავშირის რიგგარეშე ყრილობამ.

ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში, კერძოდ, აღნიშნულია: „საქართველოს კომკავშირი დაარსების დღიდან მოკლებული იყო დამოუკიდებლობას, პრაქტიკულად მას ჰქონდა ჯერ რუსეთის, ხოლო შემდეგ საკავშირო კომკავშირული ორგანიზაციის ქვეგანყოფის სტატუსი. ახლა, როდესაც მთელმა საქართველომ მიზნად დასახა ადადგინოს დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა, ჩვენ. ყრილობის მონაწილენი ვადასტურებთ, რომ ვემიჯნებით კომკავშირის შეცდომებს და ვიღებთ გადაწყვეტილებას განვახორციელოთ კომკავშირის ორგანიზაციული სტრუქტურის თვითგამორკვევის პროცესი. ეს ნიშნავს მის ბაზაზე ახალი ორგანიზაციების ჩამოყალიბებას, აგრეთვე კომკავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლებას, ზრმელიც არ გაიჩნდა ახალგაზრდობას ამ ორგანიზაციაში მასობრივი, მექანიკური ჩაბმის პირობებში“.

ყრილობაზე გამოითქვა აზრი კომკავშირის ლიკვიდაციის აუცილებლობის შესახებ. ამიტომ მიმდინარე წლის 1 ივნისამდე უნდა გახორციელდეს ყველა კომკავშირული ორგანიზაციის თვითგამორკვევა, სახელდობრ, თვითდაშლამდე.

ყრილობამ საგანგებოდ შექმნილ სამუშაო კომისიას, რომელიც ასევე 1 ივნისამდე იმუშავებს, დაავალა განახორციელოს კოორდინაცია, შეიმუშაოს საქართველოს კომკავშირის თვითგამორკვევის პროცესის მექანიზმი, ამავე ვადებში რესპუბლიკის თითოეულმა კომკავშირელმა უნდა გამოხატოს თავისი პოზიციები იმის კვლობაზე, თუ რა ორგანიზაციაში სურს იყოს, ანდა უბრალოდ გავიდეს კომკავშირის შემადგენლობიდან, ისინი, ვინც 1 ივნისამდე ვერ განსაზღვრავენ თავის პოზიციას, კომკავშირიდან გასულად ჩაითვლებიან.

მთელი ამ პერიოდისათვის მისი უძოავი ქონების სრულუფლებიან მემკვიდრეს წარმოადგენენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

16 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გაგრძელდა სკკპ წესდების პროექტისა და პარტიაში საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის მოწყობის ვადების საკითხის განხილვა.

დღეს ჩვენ გვშირდება რადიკალურად განახლებული კომუნისტური პარტია, აღნიშნა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ **კ. სალიკოვმა.** პირადად მე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მესახება როგორც სსრ კავშირის ერთიანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის ძლიერი, ნამდვილად დამოუკიდებელი პარტიული ორგანიზაციებით, მათ შორის რუსეთის ფედერაციის პარტორგანიზაციებითა და პარტორგანიზაციის მომავალი ცენტრალური კომიტეტით, თქვა მან. მან განსაკუთრებული უურადღება დაუთმო იმს, რომ უნდა ვაწარმოოთ ძლიერი ბრძოლა ეკონომიკის გადაუდებელი გამწვავებული პრობლემების, ეროვნებათშორისი და განსაკუთრებით ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხების გადაჭრისათვის. ორატორის აზრით, სკკპ ცენტრალური კომიტეტი ჯერჯერობით სუტ ყურადღებას უთმობს ეკოლოგიის პრობლემებს.

ორატორმა გამოთქვა მოსაზრებანი სკკპ წესდების პროექტის გამო. სასურველია, რომ წესდებაში ჩანდეს გერგილიანობისა და ინიციატივიანობის მოთხოვნათა გაძლიერება. და კიდევ: როგორც ჩანს, წესდებაში უნდა ჩაეწეროთ, რომ სკკპ წევრს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ყოველი საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და მოძრაობის მუშაობაში, რომელთა საქმიანობა არ ეწინააღმდეგება პარტიის მიზნებსა და ამოცანებს, სსრ კავშირის კონსტიტუციის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციათა მოთხოვნებს. საჭიროა, რომ მან იქ გაბედულად დაიცვას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ინტერესები. პარტიის წესდებაში ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კომუნისტები ემყარებიან მარქს-ენგელს-ლენინის ჰუმანისტური, ინტერნაციონალისტური იდეების განვითარებას.

სკკპ წესდების პროექტში დაშვებულია სხვადასხვა თვალსაზრისთა შედარება, მოწონებულია, არსებითად, კომუნისტთა აზრებისა და შეფასებების თავისუფლება. უმჯობესი ხომ არ იქნება შვეიცარიანთ კომუნისტთა ნებაყოფლობითი გაერთიანების ცნება?

ორატორმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო იმს, რომ საჭიროა გაიზარდოს პარტიაში პერსონალური პასუხისმგებლობა კოლეგიური გადაწყვეტილებებისათვის. ამ მხრივ, მისი აზრით, ახალი წესდების პროექტში უნდა ჩაიწეროს, რომ პარტიული ორგანოების მუშაობაში კოლეგიურობა გადაწყვეტილებათა შემუშავებისას ეხამება კომუნისტთა პერსონალურ პასუხისმგებლობას მათი შესრულებისათვის. საზოგადოება კანონიერად მოითხოვს, რომ პარტიამ ბოლო მოუღოს მანკიერ პრაქტიკას, როცა გადაწყვეტილებებს იღებენ ერთნი, ხოლო შედეგებისათვის პასუხს აგებენ სხვები ან საერთოდ არ აგებენ პასუხს.

ყარაჩაევეთის მეტალურგიული კომბინატის მეფოლადის **კ. ზ. რამაზანოვის** აზრით, ტრადიციად დამკვიდრდა პარტიული დოკუმენტების ნაჩქარევი მომზადება. ეს, კერძოდ, ეხება ცენტრალური კომიტეტის პლატფორმისა და პარტიის წესდების პროექტებს. მოკლე ხანში პროექტის მიღების შემდეგ, მისი თქმით, შეუძლებელი იყო რჩევისათვის მიგვემართა პარტიული ორგანიზაციებისათვის თუნდაც ჩვენს საწარმოში ან ქალაქში. არადა, ეს მოთათბირება ხომ აუცილებელი იყო, თანაც პარტიულთა რაც შეიძლება ფართო წრესთან, სანამ განვიხილავდით დღევანდელ პლენუმზე წესდების პროექტს.

ორატორმა, დაიმოწმა რა ოქის ზოგიერთ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში ჩამოყალიბებული აზრი, წინადადება წამოაყენა საანგარიშო-საარჩევნო კამპანია გადაიტანონ ყრილობის შემდგომი პერიოდისათვის. მუშის თქმით, ამას გაგებით შეხვდებიან, ეს საშუალებას მოგვცემს შევაკავშიროთ პირველადს ორგანიზაციებში, რომლებიც პარტიის საფუძველია, კომუნისტები, რომლებსაც უნარი შესწევთ გულწრფელად, რწმენით აღიქვან ყრილობის ფუძემდებელი რეფორმაციული გადაწყვეტილებანი.

შეეხო რა ყრილობაზე დელეგატთა არჩევის წესს, ორატორმა ყარაჩაევის სოფლის პარტიული ორგანიზაციის კომუნისტთა სახელით მხარი დაუჭირა ფარული, პირდაპირი, თანასწორი, ალტერნატიული არჩევნების მოწყობას, პარტიული ოკრუგების მიხედვით.

შეეხო რა პარტიული ბიუჯეტის ფორმირებისა და ხარჯვის საკითხებს, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრმა მხარი დაუჭირა იმას, რომ კომუნისტები სრულად იყვნენ ინფორმირებულნი პარტიული ბიუჯეტის გამოყენების შესახებ. და მხოლოდ მას შემდეგ, როცა შევიტყობთ, რას ხმარდება მთელი პარტიული ფული, ხაზგასმით აღნიშნა მან, კომუნისტებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილება იმის შესახებ, სწორად იხარჯება ფული თუ არა და რა მიმართულებით უნდა გამოვიყენოთ შემდგომში ეს სახსრები. უეჭველია, პარტიის ბიუჯეტი უნდა ყალიბდებოდეს ქვემოდან ზემოთ, და არა პირიქით.

ილაპარაკა რა სტრუქტურული და ფინანსური საკითხების გადაჭრაში, თავისი საქმიანობის დასაფინანსებლად ხარჯების განსაზღვრაში პარტიული ორგანიზაციების დამოუკიდებლობაზე, ორატორმა აღნიშნა, რომ არა ზემდგომმა პარტიულმა კომიტეტმა უნდა განსაზღვროს ქვემდგომის შტატები და სტრუქტურა, არამედ მხოლოდ პლენუმებმა ან კონფერენციებმა.

გადაუდებელ და სასწრაფო ღონისძიებად მან წამოაყენა ფუნქციების დაუყოვნებლივი კანონმდებლური განაწილება, პარტიის ადგილის განსაზღვრა საზოგადოებისა და ქვეყნის მმართველობის საქმეში, გამოთქვა რწმენა, რომ საჭიროა უკვე ყრილობამდე შეგამეცინოთ პარტიის აპარატის რგოლები, რიცხვი.

დღეს მთავარი, რაც ყველას ჩვენ გვაღელვებს, არის ქვეყნის ბედი, პარტიის ბედი, თქვა უკრაინის კომპარტიის პოლბიუროს საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ა. ს. მიაკოტამ.** ჩვენი ოქქის კომუნისტები მხარს უჭერენ გარდაქმნის პროცესებს. დაჩქარებას, პარტიის განახლებას და პირდაპირ უკავშირებენ ამას სკკპ წესდების პროექტს. აბსოლუტურ უმრავლესობას მიაჩნია, რომ, თუ ჩვენ მხარს ვუჭერთ ერთიან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, უნდა გვქონდეს ერთიანი წესდებაც. ან, ყოველ შემთხვევაში, უნდა იყოს ერთიანი საფუძვლები, ერთიანი მიდგომები მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა წესდების შემუშავებისადმი. პრინციპულად საჭიროდ მიმაჩნია თეზისი პარტიის ძირითადი რგოლის — პირველადი პარტიული ორგანიზაციის განმტკიცების შესახებ. ვერ დაეთანხმები იმათ, ვინც გვთავაზობს გადავიდეთ პირველადი პარტორგანიზაციების ჩამოყალიბების ტერიტორიულ პრინციპზე. მით უმეტეს, ინტერესების მიხედვით მათს შექმნაზე, სადაც შეიძლება თავისუფლად გადავიდეთ ერთი ორგანიზაციიდან მეორეში. ასეთი პოზიცია ეწინააღმდეგება პარტიის ავანგარდულ როლს.

პარტიის საოლქო კომიტეტი მხარს უჭერს მრავალი პარტიული ორგანიზაციის წინადადებას, რომ წესდებაში დამკვიდრდეს პარტიაში მიღების საკითხის საბოლოო გადაწყვეტილება და უშუალოდ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში პერსონალურ საქმეთა განხილვის უფლება.

საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა შემოიტანა წინადადება: პარტიის წესდებაში განისაზღვროს პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის სტატუსი. დღეს სულ უფრო დაეხებიან ბაისმის კომუნისტთა მოთხოვნა, რომ პირველად პარტიულ ორგანიზაციებში, სადაც 50-ზე მეტი სკკპ წევრია, პარტიულ მუშაობას ეწოდოს განთავისუფლებული მუშაკი. ეს განსაკუთრებით აქტუალურია იჟარული ნარდასა და სამეურნეო ანგარიშზე შრომითი კოლექტივების გადასვლასთან დაკავშირებით. ალიმერეზა კითხავ: კი მაგრამ, სიიდან ავიღოთ ფული მდივნის ხელფასისათვის? ჩვენი აზრით, მნიშვნელოვნად მეტი უფლებები უნდა მივანიჭოთ პარტიის საოლქო კომიტეტებს, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, რათა ისინი თვითონ განსაზღვრავდნენ აპარატის სტრუქტურას, განთავისუფლებულ მუშაკთა რიცხვს და მათი თანამდებობრივი სარგოების ოდენობას. წესდებით უნდა განვთვალისწინოთ პარტიული ორგანიზაციების უფლება თავიანთ განკარგულებაში დაიტოვონ საწევრო შენატანების თანხის სახსრების 50 პროცენტი, განაცხადა მან.

ორატორმა გამოთქვა თვალსაზრისი საკითხებზე, რომლებიც ეხება პარტიულ სტრუქტურებს საქალაქო და რაიონული კომიტეტების დონეზე, კომუნისტთა დისკუსიებს, მათს პასუხისმგებლობას პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის, პარტიული ბუქმენტი ორგანოების საკითხებზე.

ოქის კომუნისტებს, თქვა მან, შეგნებული აქვთ მიმდინარე მოვლენების ამოცანათა სირთულე და პასუხისმგებლობა და მთხოვეს გადავცე პლენუმს, რომ მათ განსაკუთრებით აწუხებთ ეთიარები, რომელიც დრამატიზმამდე იძაბება ქვეყანაში. ღონისძიებები, რომლებსაც მიმართავდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტი, უზენაესი საბჭო, ქვეყნის მთავრობა, შეიძლება ითქვას, დაგვიანებულია და მრავალი პოზიციით დეკლარაციული. ეხედავთ ერთ გამოსავალს: ყველა — პირველადი პარტიული ორგანიზაციით დაწყებული და ცენტრალური კომიტეტითა და მისი პოლიტბიუროთი დამთავრებული — დაუყოვნებლივ დადგეს ჩვენი პარტიის დასაცავად, დაამყაროს წესრიგი ქვეყანაში.

ხაზგასმით აღნიშნა რა წესდების პროექტის უეჭველი პროგრესულობა და რადიკალურობა, **ვ. ა. ჩურილოვმა,** სკკპ ხანტი-მანსის საოკრუგო კომიტეტის პირველმა მდივანმა, ამავე დროს აღნიშნა, რომ მისმა ავტორებმა მთლიანად ვერ მოიცილეს თავიდან პოლიტიკური მონოპოლიზმი, ვერ წარმოადგინეს პარტია პოლიტიკური ინსტიტუტის ნაწილად, რადა თქმა უნდა, მთავარ, ძლიერ, მაგრამ მაინც ნაწილად.

ორატორმა გამოთქვა რამდენიმე წინადადება პროექტის გამო.

პირველი. დასახა რა თავის პლატფორმაზე საბჭოთა საზოგადოების კონსოლიდაციის მიზანი, პარტია უწინარესად თვითონ ვერ შეძლებს არსებობას, თუ არ ექნა სხვადასხვა ჯგუფის გაერთიანების ძიქანიზმი, მიდგომები და პლატფორმები. სწორი იქნებოდა გვეთქვა ეს წესდების მე-13 პარაგრაფში, გაგვეკეთებინა შენიშვნა კონსენსუსით გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის შესახებ. იგივე თემა უნდა აღიარას 35-ე და 36-ე პუნქტებში, რომლებიც დაწერილია საბჭოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში კომუნისტთა აბსოლუტური უპირატესობის პოზიციიდან. პრაქტიკა კი უფრო მრავალფეროვანია.

მეორე. გამოაცხადა რა პარტიული მასისათვის ძალაუფლების გადაცემა, წესდების პროექტი არ გვთავაზობს ამ ძალაუფლების რეალიზაციის მექანიზმს. მე-6 პუნქტში ნებართვითი — „შეიძლება მოეწყოს დისკუსიები და რეფერენდუმები“ უნდა შეიცვალოს სავალდებულოთი — „რეგულარულად მოეწყოს“.

ჩვენ სწორად ვიცავთ უმცირესობის უფლებას, მაგრამ არანაკლებ აქტუალურია უმრავლესობის უფლების რეალიზაცია, მილიონობით კომუნისტთა თვალსაზრისის „გთვალისწინების მექანიზმი, თქვა მან.

მესამე. დარწმუნებული ვარ, რომ ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრმა არ იცის, რას ნიშნავს პარტიაში სტრუქტურული წარმონაქმნები—საოკრუგო კომიტეტი. ამიტომ წესდების პროექტშიც ერთ შემთხვევაში ისინი დგას რაიკომებთან ერთ მწკრივში, მეორე შემთხვევაში — საოლქო კომიტეტებთან ერთად. უფრო სწორი იქნებოდა პირველ შემთხვევაში გველაპარაკა საოკრუგო პარტორგანიზაციებზე, რომლებსაც აქვთ საქალაქო და რაიონული განყოფილებები, ხოლო მეორე შემთხვევაში — არ იყოს ასეთი დაყოფა. მათ შეიძლება უბრალოდ ვუწოდოთ საოკრუგო.

ორატორმა პლენუმის მონაწილეებს აცნობა, რომ ოკრუგის მრავალ კომუნისტს მიაჩნია: ყრილობის მოსამზადებლად საჭიროა სპეციალური კომისია, რომელშიც შევლენ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, პარტორგანიზაციების, პარტიული კომიტეტის მდივნები, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში სხვადასხვა მიმდინარეობათა წარმომადგენლები. მას შეუძლია იმუშაოს „მრგვალი მაგიდის“, დიალოგის რეჟიმით, მაქსიმალურად გაითვალისწინოს უკვე მომზადების ეტაპზე თვალსაზრისთა მთელი მრავალფეროვნება.

დასასრულ, ვ. ა. ჩურილოვი შეეხო ტიუმენის ოქქის ხანტი-მანსის ავტონომიურ ოკრუგში შექმნილ ვითარებას. ოკრუგის ქალაქებისა და რაიონების მეტ წილ ადგილობრივ საბჭოებში კიდევ ერთ თვეზე მეტ ხანს ვერ გავმართავთ სესიას, ვერ ავირჩევთ აღმასკომებს. საბჭოთა, პარტიული ორგანოების დაახლოებით 40 პროცენტი ვერ გაგზავნეს დეპუტატი. ხელისუფლების შექმნილ ვაკუუმს აღრმავებს მზარდი სოციალური დაძაბულობა შრომთა კოლექტივებში, ძნელად შესაკავებელი განწყობილებების ზრდა, თთავრობასთან შრომითი დავის დაწყება.

სიტყვა ეძლევა **ი. კ. ლიგაჩოვს,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, ცენტრალური კომიტეტის მდივანს. საზოგადოებრივი ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში, თქვა მან, სულ უფრო ინტენსიური ხდება. გარდაქმნის დიდმნიშვნელოვანი ეტაპი გაგხდა პრეზიდენტის პოსტის დაწესება და ჩვენი ქვეყნის პირველ პრეზიდენტად ძიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის არჩევა.

შემდეგ ი. კ. ლიგაჩოვმა დაახასიათა ქვეყანაში შექმნილი სიტუაცია და აღნიშნა, რომ საზოგადოება მიუახლოვდა ზღვარს, რომლის მიღმა მოსალოდნელია პოლიტიკური და ეკონომიკური ქაოსი. პირველი რიგის ამოცანები, რომლებიც მთელი ხალხის ინტერესებს შეეხება, ჯეროვნად არ წყდება. ავიღოთ იგივე სასურსათო პრობლემა, დიახ, ჩვენ განსაზღვრეთ თანამედროვე აგრარული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი. და მე დარწმუნებული ვარ — ეს სწორი პოლიტიკაა, იგი იძლევა თავის შედეგებს; იზრდება სურსათის წარმოება, მაგრამ მატება მეტისმეტად მკირეა.

აგრარული პოლიტიკა არსებითად უნდა განვამტკიცოთ ეკონომიკურად — დამატებითი რესურსებით, ახალი ფასებითა და სუბსიდიებით. მაგრამ ახლა ხომ ბევრი რამ ფაქტობრივად გაყინულია. მე უკვე არაერთგზის აღმიძრავს ეს საკითხი პოლიტბიუროზეც, ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზეც, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზეც, სოფელი ტექნიკურად და სოციალურად იმდენად ჩამორჩა, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის დაცვა-შენახვისა და გადამუშავების ბაზა იმდენად ხელმიშვებულია, რომ, თუ არსებითად არ გავზარდეთ დაფინანსება და აგრარული სექტორისათვის მატერიალური რესურსების მიწოდება, არავითარ სურსათის საკმარისობაზე, 5-10 წლის შემდეგაც კი, ლაპარაკიც არ შეიძლება.

არა, ამბობენ, მივცემთ გლეხს თავისუფლებას, გავხდით მას მიწის ბატონ-პატრონად — და საქმეც კარგად წავაო. მეც იმის მოგზრე ვარ, რომ გლეხი იყოს მიწის ბატონ-პატრონი, მაგრამ მარტოოდენ ფიწალი და ნიჩაბი სრულიად არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ქვეყანა გამოკვებოთ. დრო მიდის, სასურსათო კვანძი კი სულ უფრო მჭიდროდ იკვრება. ეს ფაქტია.

ჩვენს საზოგადოებაში გამოჩნდნენ ძალები და ადამიანები, რომლებიც ინიციებიან და მანიპულირებენ რა გარდაქმნის ლოზუნგებით, მიზნად ისახავენ დაანგრიონ საზოგადოება, პარტია, არსი გამოაცალონ მისი აგებულებისა და საქმიანობის ლენინურ პრინციპებს. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, გარდაქმნან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია სოციალ-დემოკრატიად, შემოიღონ ქვეყანაში კერძო საკუთრება და აღადგინონ კაპიტალისტური წარმოება. ამასთან იშველიებენ აღმოსავლეთ ევროპის მაგალითს. მაგრამ იქ ხომ, აღნიშნა ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, ვხედავთ დიდ გადახვევას სოციალიზმისაგან.

შემდეგ ორატორი კვლავ ქვეყნის საშინაო საქმეებს დაუბრუნდა და შენიშნა, რომ უბედურებანი და წარუმატებლობანი განპირობებულია მრავალი ფაქტორით, მაგრამ მათ შორის გამოიყოფა თვით პარტიის დასუსტება როგორც ორგანიზაციულად, ასევე იდეურად. შეგიძლიათ დაეთანხმოთ-არ დამეთანხმოთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ უწინარეს ყოვლისა ამან მიიყვანა ქვეყანა კრიზისულ მდგომარეობამდე. ამასთანავე ვერ ვხედავ სხვა ძალას, გარდა სახალხო დეპუტატთა საბჭოებისა და კომუნისტური პარტიისა, რომლებიც შეძლებენ გამოიყვანონ ქვეყანა პროგრესის გზაზე შექმნილი მწვავე სიტუაციიდან. ბოლო წლებში გაჩნდა ისიც, რაც წინათ არ ყოფილა. პარტიის მრავალი რგოლი გადის ეკონომიკიდან ისე, რომ შესაბამისად არ მოუმზადებია საბჭოები. პარტიაში ამოქმედდნენ ფრაქციები და ჯგუფები. ხშირად ფიზიკა, და არა საქმე, ხდება ადამიანის შეფასების კრიტერიუმი. საზოგადოებაში კვლავინდებურად მიმდინარეობს მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთ საშუალებათა დესტრუქციული მუშაობა. საკითხავია — ვლაპარაკობთ თუ არა ამაზე ჩვენს გამოსვლებში? დიახ, ვლაპარაკობთ. მაგრამ არცთუ იშვიათად მხოლოდ იმიტომ, რომ თავი გამოვიჩინოთ, მოვნიშნოთ საკითხი, რადგან ამას ხშირად არავითარი მოქმედება არ მოსდევს.

მე იმას კი არ ვემხრობი, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, რომ პარტია დაუბრუნდეს მბრძანებლურ მეთოდებს, რომ იგი ერთოდეს ოპერატიულ-სამეურნეო საქმეებში. არა და ერთხელ კიდევ არა. და, გთხოვთ, ნურავინ ნუ გამიგებთ ამას მცდარად და დამახინჯებულად. რა თქმა უნდა, გენერალური გეზი ეკონომიკური რეფორმის გზით საგეგმოსაბაზრო ეკონომიკის შექმნის გეზია.

ამ დღეებში სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე ყრილობამ მიიღო დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება საპრეზიდენტო მმართველობის შესახებ. განვითარებადი დემოკრატიის პირობებში, რომელსაც თან ახლავს მმართველობის დეცენტრალიზაცია, ეს, უთუოდ, საჭირო ღონისძიებაა. მაგრამ, ვფიქრობ, ჩვენ გვესმის, რომ საპრეზიდენტო ხელისუფლება თავისთავად ვერ გამოიყვანს ქვეყანას რთული სიტუაციიდან. ეს ძალუძთ პარტიასა და საბჭოებს. აი რატომ არის ესოდენ საჭირო პარტიის განახლება, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი წესდება, აქტიური საკადრო პოლიტიკა, თორემ ქვეყანა ძალიან ადვილად ვერ დააღწევს თავს ეკონომიკური მოშლილობისა და პოლიტიკური დაძაბულობის მდგომარეობას.

ახალი წესდების შესაბამისად პარტიის განახლება გულისხმობს არა მარტო შინაპარტიული ურთიერთობის დემოკრატიზაციას, რასაც ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს, არამედ პარტიული რიგების ერთიანობის განმტკიცებასაც. ყველა იმთგან პარტიის გაშშედას, ვინც მას ანგრევს, ვინც ეწევა ფრაქციულ, ოპოზიციურ ბრძოლას, ვინც მონაწილეობს ანტისოციალისტურ მოძრაობებში. ასეთი პარტიის წევრები უუნაყოს საბჭოშიც არიან და ცენტრალურ კომიტეტშიც, არიან ისინი ადგილებზეც. საკმაოდ გავრცელდნენ პოლიტიკური მოლაყბენიც — სიტყვები მადალფარდოვანია, მაგრამ ფუჭი.

ამასთან დაკავშირებით ი. კ. ლიგაჩოვმა მხარი დაუჭირა კომუნისტების წინადადებას პარტიის მიერ მისი წევრების პოლიტიკური ატესტაციის მოწყობის თაობაზე. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს, თქვა მან, უნდა გაკეთდეს პასუხისმგებლობის გრძნობით. ხოლო რას იწვევს ქცევის ხაზი, როცა იგი უპრინციპოა, ჩვენ ვხედავთ ლიტვის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელთა ბედის მიხედვით. თვით ბრძოლის ლოგიკა, როცა პირველ ეტაპზე დგება შემთანხმებლობა, საბოლოო ანგარიშით იწვევს პოლიტიკურ გაკოტრებას. და კიდევ მინდა შევეხო ერთ რამეს. ხელისუფლების ახალი ორგანოების ფორმირების პროცესში გამოვლინდა, რომ ამ ორგანოებში მეტად ფაზღუდულად ყოფილან წარმოდგენილი მუშათა კლასი და გლეხობა.

გამოსვლის დასასრულს გაისმა ის აზრი, რომ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ კამპანია ძალიან კარგად არის ორგანიზებული და შეთანხმებული. ასეთ პირობებში ყველაზე დამღუპველია უზრუნველობა. დრო, საკადრისი პასუხი გავცეთ ანტისოციალისტურ ძალებს. ამის მაგალითად შეიძლება გამოგვადგეს უზენაესი საბჭოს, სსკკ ცენტრალური კომიტეტის, მთავრობის მიმართვები ქვეყნის მშრომელებისადმი, რომლებიც მიმდინარე წლის თებერვალშია მიღებული, მუშაობა, რომელიც პარტიამ გასწია იმ დღეებში.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველო **ლ. ლიზიჩევმა** ხაზგასმით აღნიშნა, რომ არმიისა და ფლოტის კომუნისტები უარყოფენ შეიარაღებული ძალების დეპოლიტიზაციის ლოზუნგს, რომელიც კოზირი გახდა იმათთვის, ვინც ცდილობს გააქარწყლოს პარტიის გავლენა არმიისა და ფლოტში. სულიერად განიარაღოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა და ამით ზიანი მიაყენოს არმიისა და სოციალიზმის ციხესიმაგრეს.

ამ თეზისის დასაფუძნებლად ორატორმა დამსწრეთ შეახსენა, რომ აღმოსავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნების არმიებში პოლიტორგანოების გაუქმებამ და პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის აკრძალვამ მკვეთრად გაამწვავა მხედრული დისციპლინის პრობლემები, გამოიწვია დეზერტირობის შემთხვევების ზრდა, ხოლო ზოგ შემთხვევაში — ქვეგანაყოფებისა და თვით ჯარის ნაწილებისა და შენაერთების მორალური ხრწნაც. კომპარტიათა მონოპოლია დღეს აქ იცვლება მათდამი დაპირისპირებული პოლიტიკური ძალების მონოპოლიით.

ეს ფაქტია. ეს ფაქტია. ეს ფაქტია. ეს ფაქტია. ეს ფაქტია

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

(გაგრძელება)

ხმამაღლა მეჯლისი, მნიშვნელოვანწილად დამახინჯებული თემაა. სირთულე, მისი აზრით, ის არია, რომ არ მუშაობს პარტიის ცენტრალური კომიტეტი (აგრეთვე მრავალი სხვა პარტიული კომიტეტი) პლენუმებს შორის შესვენებების დროს იმასთან ზუსტი შესაბამისობით, რაც ჩაწერილია მოქმედ წესდებაში. პარტიული კომიტეტის, ამ შემთხვევაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის, წევრები იკრიბებიან პლენუმებზე, აწყობენ დისკუსიებს, ტაშს უკრავენ, ხმას აძლევენ. მაგრამ პლენუმებს შორის შესვენებების დროს არ მუშაობენ. რა არის საჭირო ამ შემთხვევაში? ცვლილება შეიძლება მოხდეს, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, არა იმით, რომ პოლიტბიუროს ეწოდოს პრეზიდიუმი, არა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა ნაწილის განთავისუფლებულ პარტიულ განაკვეთებზე მიღების მეშვეობით. ცენტრალური კომიტეტის წევრებმა — ნებისმიერი პარტკომის წევრებმა — უნდა იმუშაონ დგომეზეზე, პარტიულ ორგანიზაციებში, რომლებმაც ისინი აირჩიეს. მაგალითად, თუ არის პარტიის ცენტრალური კომიტეტის რამდენიმე წევრი, რომლებიც არჩეული არიან, დავუშვათ, კუიბიშევის საოლქო პარტიული ორგანიზაციის ამ რეგიონისაგან, მათ უნდა იმუშაონ ადგილზე. მათთან უნდა იყოს პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატის ერთი-ორი თანამშრომელი, რომლებიც დაეხმარებიან მთ განახორციელონ კავშირი ცენტრთან და პირველად ორგანიზაციებთან, თორემ ყველფერი უშნდებუნად დარჩება, პარტიის მართვის დეცენტრალიზაცია არ მოხდება.

სიტყვა ეძლევა **ს. ვ. რაფაილოვს**, დონეცკის ოლქის ქალაქ მაკეევკის „სოვეტსკაია" შახტის პარტკომის მდივანს. მან, კერძოდ, თქვა: ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ საპარლამენტო ბრძოლასა და პრეზიდენტობისათვის შეტაკებებში ჩვეს პარტიულ ხელმძღვანელებს ვეღარ მოუყენიან პარტიისა საქმეებისათვის, ამის მაგალითია სკკპ ცენტრალური კომიტეტის საყოველთაო პლატფორმის პროექტი, რომელიც ახლახან მიიღეს. კომუნისტები ერთსულოვნად გამოთქვამენ თავიანთ აზრს: დოკუმენტმა სულ ცოტა სამი წლით დაგვიანა, იგი ლენუნგების კრებულს წაამოადგენს. ამასთან დაკავშირებით საწარმოო გაერთიანება „მაკეევუგლენახშირის" „სოვეტსკაია" შახტის კომუნისტებმა დამავალეს მათი სახელით დამთვეძვა უკანაყოფილება პოლიტბიუროსა და ცენტრალური კომიტეტის წევრთა მხრივ პოლიტიკური ხელმძღვანელობის მეთოდების გამო.

და აი, დღეს განსახილველად გამოტანილია ახალი დოკუმენტი — სკკპ წესდების პროექტი. იტყვიან ხოლმე: „როგორიც წესდებაა, ჯარიც ისეთია". იგი ჩვენ ყველანი ვრცელდება, ვერ დავეთახმებიან ამ ფაქტს გორბაჩოვს, რომელმაც ახლანდელი პლენუმის პირველ სხდომაზე გაკეთებულ მოხსენებაში თქვა, რომ განსახილველად წარმოდგენილი დოკუმენტი ერთიანების პარტიის ფართო დემოკრატიზაციას და ბარტიის, როგორც ჩვენი საზოგადოების ავანგარდული ძალის, ორგანიზებულობისა და ქმედუნარიანობის ზრდას, რაც შეეხება დემოკრატიზაციას, გეთანხმებით. ხოლო ორგანიზებულობას იგი არ ჰმატებს. მთელი პროექტი ზოგადი ფრაზებისგან შედგება, ბევრი ცნება გაბუნდოვანებულია. რატომ არის ასე? ჩვენ კომუნისტების პარტია ვართ, თვით სიტყვა „კომუნიზმი" კი არსად არ იხსენიება. კომუნიზმის იდეას მხარი უნდა დავუჭიროთ, თუნდაც როგორც საზოგადოების აშენების იდეალს.

ოპოზიციის საამებლად წესდების პროექტიდან ამოგდებულია სიტყვათშეზამება „დემოკრატიული ცენტრალიზმი", თუმცა თვით ცნება დარჩა. ეჭვი არ არის — ის დემოკრატიული ცენტრალიზმი, რომელიც აქამდე გვქონდა, მისი სტალინისებური განმარტებით, ჩვენ არ გვეთრდება. ხოლო ლენინურ დემოკრატიულ ცენტრალიზმს აქვს არსებობის უფლება. და თუ ეს კარი ბოვებს თვის ადგილს წესდების პროექტში, მას უნდა დაეძატოს არჩევითი ორგანოებისა და მათი ლიდერების რეალური პოლიტიკური პასუხისმგებლობის ლენინური გაგება, განხილვის სტადიაში ალტერნატიულ წინადადებათა გამო დისკუსიების გაძართვის, მოქმედების ერთიანობის შემუშავების და მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის უზენაესი პასუხისმგებლობის გაგება.

შეეხო რა კონფერენციისა და ყრილობის დელეგატთა არჩევნების საკითხს, ს. ვ. რაფაილოვმა ხაზი გაუსვა, რომ წესდებაში ხელისუფლება უნდა გაიყოს საკანონმდებლოდ და აღმასრულებლად. კონფერენციები და ყრილობები საკანონმდებლო ორგანოებია, ხოლო არჩეული კომიტეტები — აღმასრულებელი. უთუოდ უნდა შემუშავდეს სკკპ ყრილობის დელეგატის სტატუსი, დადგინდეს მისი უფლება-მოვალეობანი, გაუგრძელდეს დელეგატს უფლებამოსილების ვადა მთელი საანგარიშო პერიოდისათვის. ყრილობის დელეგატი უნდა გახდეს დამაკავშირებელი რგოლი მის მარჩენ კომუნისტებსა და პარტიის ცენტრალურ კომიტეტს შორის.

კონფერენციისა და ყრილობის არჩევნები უნდა იყოს პირდაპირი, საქიროებს შემთხვევაში — რამდენიმე კანდიდატურის, პირდაპირი დელეგირებით. და უსათუოდ — ოლქების მიხედვით. მდივანთა არჩევნები უნდა მოეწყოს შესაბამისი პარტორგანიზაციებეს კონფერენციებსა და ყრილობებზე.

ირკუტსკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტკომის მდივანმა **ბ. ბ. პონომარიოვმა** გამოთქვა აზრი, რომ წესდების პროექტის ყველაზე სუსტი მხარეა ის იდეური საფუძვლის ბუნდოვანი განსაზღვრა, რომელზეც პარტია უნდა აერთიანებდეს მის წევრებს, და იმ ფორმულირებათა ბუნდოვანება, რომლებიც მისი აგებულების ძირითად პრინციპებს განეკუთვნება.

ჩვენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდებას განვიხილავთ, აღნიშნა მან, ხოლო პრეამბულაში და მთელ მომდევნო ტექსტში თვით სიტყვა „კომუნიზმი" მორცხვად არის გაძოტოვებული. ამიტომაც გვებადება კითხვა: რა არის პარტიის საბოლოო მიზანი? ხომ არ ვჩქარობთ სამიტინგო ციკა-ცხელების შემოტევის გამო ული ეთქვათ მთავარ იდეაზე, რომლის გულისთვისაც გავერთიანდითო?

დღეს მარქსის მანიფესტის ფუძემდებელ დებულებათაგან არც ერთი არ არის რეალიზებული არც ჩვენში და არც საზღვარგარეთ, ანდა ისეა დამახინჯებული, რომ ცერ იცნობ. ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა, და მათი წამხედურობით ჩვენც, მივიჩნიეთ, რომ იდეა არ არის უმნიშვნელოვანეს პარტიულ დოკუმენტებში ხსენების ღირსი. საზოგადოებამოცოდნე მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ერთგვარი თანამონაწილეობით ჩვენ ისე „გადავამუშავეთ და შევავსეთ" ეს იდეა, რომ დღეს არც კი ვიცით, რა საზოგადოება შეიქმნა ჩვენში. ვფიქრობ, რომ წესდების ტექსტში საბოლოო მიზანი უნდა ჩამოყალიბდეს, ხოლო ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის შეშეობით მისი რეალიზაციის გზა უკვე მოცემულია პროექტში, რომელსაც დღეს განვიხილავთ. ეს პრინციპული საკითხია და იგი უნდა აისახოს წესდებაში.

ძალიან ადრე ვამბობთ უარს პარტიის ორგანიზაციულ აგებულებაში დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპზეც, გახსოვრთ ორატორმა. წესდების პროექტის კარედნი იგი ორსებითად ნაწილობრივ წარსულჩენილია და არის, მაგრამ თავისი სახელი არ უწოდეს. რა არის ეს? თავმდებლობა თუ შიში, ვითუ ჩვენს პარტიას ჩამოსცილდნენ ისინი, ვინც არ არის ნაჩვეი დისციპლინას და პასუხისმგებლობას? როდესაც უარს ვამბობთ ამ პრინციპზე, ჩვენ უკან ვიხევთ ოპონენტების წინაშე და მიგვყავს პარტია გათიშვის პირას, გადავაქცევთ მას რაღაც ნებაყოფლობითს საზოგადოებად, და არა შეკავშირებულ და მტკიცე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციად, საჭიროა არა არმიული ცენტრალიზმი, სადაც უამისობა არ იქნება, არამედ ლენინური დემოკრატიული ცენტრალიზმი პარტიაში, რომელიც ითვალისწინებს არჩევითი ორგანოებისა და მათი ლიდერების რეალურ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას მათს აჩრეგ კომუნისტთა წინაშე. პარტიის ერთიანობას, არჩევითი ორგანოების წევრთა პასუხისმგებლობის ამაღლებას, პირველადი პარტიული ორგანიზაციის როლის ზრდას შეუწყობს ხელს აგრეთვე კონფერენციებსა და ყრილობებზე ამრჩევთა დელეგირების მეშვეობით არჩევითი ორგანოებიდან გადასვლა ყველა დონის პარტიული კომიტეტების, მათ შორის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირდაპირ არჩევნებზე.

წესდებაში უნდა დავამკვიდროთ დებულება იმის შესახებ, რომ ალტერნატიულ საფუძველზე მოწყოს არა მარტო ყრილობებისა და პარტიული კონფერენციების დელეგატთ, არამედ აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სახარეო, საოლქო და საოკრუგო კომიტეტების წევრთა პირდაპირი არჩევნები. არჩევნები უნდა ეწყობოდეს კომუნისტთა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე პარტიულ საარჩევნო ოლქებში, პლენუმებზე განსაზღვრული წარმომადგენლობის ნორმის მიხედვით. რაც შეეხება მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, ყველა დონის პარტიული კომიტეტების წევრების უფლებამოსილების გაუქმებას, იგი უნდა ბორკილედებოდეს მხოლოდ იმ კომუნისტთა მიერ მათი გამოწვევის გზით, ვინც ისინი აირჩია ამ პარტიულ ორგანოში. ეს კომუნისტების შესაძლებლობას მისცემს ირწმუნონ, რომ პარტიის ბედი, მათი ბედი მათს საკუთარ ხელთ არის.

სკკპ წესდების პროექტი, აღნიშნა ლიტვის კომპარტიის (სკკპ პლატფორმაზე) დროებითი ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ბ. ბ. ბოროკავიჩუსმა**, უფრო დემოკრატიული და ლოგიკური შინაარსისაა, ვიდრე ამჟამად მოქმედი პარტიის წესდება. ქალაქ კარგია, რომ პროექტში შეტანილია კარი „მოკავშირე რესპუბლიკების კომუნისტური პარტიები". ვფიქრობ, ხაზგასმით აღნიშნა მან, წესდებაში უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია არის მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ნაწილი. უფრო მკაფიოდ უნდა თქვას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიზნებია შესახებაც. ლიტვის ინტერნაციონალისტი კომუნისტებისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს სკკპ ახალი წესდების პროექტის იდეებს. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ლიტვის კომპარტია ყველაზე მძიმე პოლიტიკურ პირობებშიც კი იარსებებს და იმოქმედებს, დაიცავს ლიტვის განვითარების სოციალისტურ გზას.

ლიტვას, თქვა ორატორმა, პოლიტიკური ტრაგედია დაუდგა. ნაციონალისტური კონსერვატიული ძალები, რომლებმაც რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნებში დეპუტატთა მიღების ანსოლუტური უმრავლესობა მოიპოვეს, ისწრაფვიან პარლამენტის მეშვეობით შეცვალონ საბჭოთა ლიტვის სახელმწიფო წყობილება. ისინი ქება-დიდებას ასხამენ ლიტვაში არსებულ კაპიტალისტურ წყობილებას და ამასთანავე ჩქმალავენ მუშათა და გლეხთა მძიმე ეკონომიკურ, სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას, მოქალაქეთა პოლიტიკურ უუფლებობას, პროგრესული ადამიანების წინააღმდეგ მიმართულ რეპრესიებს და ლიტვის კომპარტიის ხელმძღვანელობის დახვრეტას 1921 წელს ბურჟუაზიულ ლიტვაში, უმოშავრობას და 100 ათასი კაცის ემიგრაციას ლიტვიდან კაპიტალის სხვა ქვეყნებში. ჩქმალავენ, რომ ლიტველი ბურჟუაზიული ნაციონალისტების აქტიური მონაწილეობით ჰიტლერული ოკუპაციის წლებში მუსრი გაავლეს ლიტვის 371 ათას მოქალაქეს, 70 ათასი ლიტვის მოქალაქე წაასხეს ფაშისტურ გერმანიაში საკატორღო სამუშაოებზე, რომ ლიტვაში მოსპეს 229 ათასი საბჭოთა სამხედრო ტყვე, სხვა საბჭოთა რესპუბლიკებისა და კაპიტალისტური სახელმწიფოების 100 ათასზე მეტი მოქალაქე.

მან ობიექტურად შეაფასა ლიტვის წარსული და განაცხადა: ისტორია მოწმობს, რომ ლიტველი ხალხი შრომისმოყვარეა, რომ მისმა საუკეთესო ადამიანებმა შექმნეს ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების შესანიშნავი ნაწარმოებები, აღიზარდა წარსულში გამოჩენილი საზოგადოებრივი მოძრაობის მოღვაწენი. ლიტველი ხალხი დიდი პატივისცემით ეკიდება სხვა ხალხებს, მას მუდამ ახასიათებდა სიყვარული დედამინისადმი, პროგრესული ხალხური ტრადიციებისადმი, პოზიტიური ისტორიული და კულტურული წარსულისადმი. მისწრაფება — აღადგინონ ლიტვაში ბურჟუაზიული სახელმწიფოებრიობა, ააღორძინონ წარსული — ეწინააღმდეგება ლოგიკის ისტორიას, განაცხადა ორატორმა.

ნაციონალისტური კონსერვატიული ძალები ცდილობენ თავიანთ მიზნებს მიაღწიონ ლიტველი ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილის ცრუ ერთგულ გრძნობებზე მარჯვე თამაშით. მაგრამ ლიტვის უზენაესი საბჭოს დეპუტატებს არა აქვთ უფლება ილაპარაკონ მთელი ლიტველი ხალხის სახელით, ვინაიდან ლიტვის სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნებში მათ მიიღეს კენჭისყრის სიებში შეტანილ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ხმების 41,2 პროცენტი.

გააანალიზა რა ლიტვაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების მიზეზები, ორატორმა თქვა, რომ სპარატისტული, ნაციონალისტური ძალები, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს ინფორმაციის ყველა საშუალება, პრესა, რადიო, ტელევიზია, — არ წაწყდომიან არავითარ წინააღმდეგობას ლიტვის რეორგანიზებული კომპარტიის ხელმძღვანელ ო ბ ი ს მხრივ. უფრო მეტიც, მისი ხელმძღვანელები, რომლებიც გარდაქმნის იდეებით ინიციბებოდნენ, შეერწყნენ სეპარატისტულ ძალებს. ამ ძალებმა იგრძნეს საელმწიფო ხელისუფლების სისუსტე და ეწეოდნენ ბინძურ მუშაობას ლიტვაში სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ, თესდნენ სიძულვილს საბჭოთა მეომრებისადმი, მოიწოდებდნენ ახალგაზრდებს არ იმსახურონ საბჭოთა არმიის რიგებში, რათა შეიქმნათ ლიტვის ეროვნული არმია თავიანთი ანგარებითი მიზნებისათვის.

ლიტვაში საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიზაციას საერთო არა აქვს რა საბჭოთა კანონების დარღვევასთან. ლიტვაში 1940 წლამდე არსებული წყობილების აღდგენის ცდასთან. სსრ კავშირის კანონთა მოქმედება ხომ ლიტვაში მთლიანად არის შეჩერებული, ამას მოწმობს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიმდინარე სესიის დოკუმენტები. მე ვფიქრობ, თქვა ლიტვის კომპარტიის დროებითი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელმა, რომ დადგა დრო მივიღოთ საჭირო ზომები, რათა დავიცვათ სსრ კავშირის სუვერენიტეტი, სსრ კავშირის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობილების, საბჭოთა კავშირის უშიშროებისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპები, დავიცვათ საბჭოთა ლიტვის მცხოვრებთა უფლება-თავისუფლებანი და უსაფრთხოება, ვინაიდან ისინი ლიტვაში სოციალისტური წყობილებისა და საბჭოთა ხელისუფლების მომხრენი არიან. ჩვენ არ გვაშინებს არც ცალისწამება ლიტვის კომპარტიაზე, არც შეგიწროება, არც კომუნისტთა დევნა რესპუბლიკის ნაციონალისტური კონსერვატიული ძალების მიერ. ინტერნაციონალისტი კომუნისტები რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნებში იცავდნენ საბჭოთა ლიტვის ყოველმხრივ განვითარებას სსრ კავშირის შემადგენლობაში. მათ წინააღმდეგ გაელამქრეს სეპარატისტულმა, ნაციონალისტურმა ძალებმა, მათ გზა გადაუკეტეს ტელევიზიამ და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებმა. ინტერნაციონალისტი კომუნისტებები ახლაც იმის მომზრენი არიან, რომ საბჭოთა ლიტვა დარჩეს სსრ კავშირის ხალხთა ოჯახში, ჰქონდეს სრული სოციალისტური სახელმწიფო სუვერენიტეტი, არ იყოს დამოკიდებული კაპიტალისტურ სამყაროზე.

ტრიბუნაზეა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ლ. ნ. ზაიკოვი.** ჩვენი პლენუმი მუშაობას უფლებას იძლევა ამავე დღეს, რომელ დღესაც ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის მარტის პლენუმი, თქვა მან. ჩვენს გარდაქმნას ხუთი წელი შეუსრულდა. ყველას, ვინც 5 წლის წინ მონაწილეობდა მარტის, ხოლო შემდეგ აპრილის პლენუმების მუშაობაში, კარგად ახსოვს ატმოსფერო, რომელშიც მიმდინარეობდა ისინი. ეს იყო ერთსულოვნებისა და იმედის ატმოსფერო. სწორედ იმედისა, რომ ჩვენ ბოლოს და ბოლოს თავს დავაღწევთ სიცრუის ჭაობს, ალარ გვექნება ორი მორალი: ერთი — თვალის ახვევინებთან, მეორე — საკუთარი გულისათვის. გარდაქმნის გამმზეშეხმა ყინულსალამ ამ 5 წელიწადში ყალბ ფასეულობათა ჭუჭყიან ქაფთან ერთად მოგვაცილა ადმინისტრაციული სისტემის მძიმე ჯავშანი, რომელიც ხალხის ინიციატივასა და ტალანტს ბორკავდა.

ამ წლებში ჩვენ, სამწუხაროდ, დავრწმუნდით, რომ მეტისმეტად მძიმე აღმოჩნდა შედეგები საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას, მოქალაქეთა პოლიტიკურ უუფლებებს, პროგრესული ადამიანების წინააღმდეგ მიმართულ რეპრესიებს და ლიტვის კომპარტიის ხელმძღვანელობის დახვრეტას 1921 წელს ბურჟუაზიულ ლიტვაში, უმოშავრობას და 100 ათასი კაცის ემიგრაციას ლიტვიდან კაპიტალის სხვა ქვეყნებში. ჩქმალავენ, რომ ლიტველი ბურჟუაზიული ნაციონალისტების აქტიური მონაწილეობით ჰიტლერული ოკუპაციის შეიაყოვნა ხომალდის მსვლელობა, მაგრამ იგი მაინც მტკიცედ მიიწევს წინ, თუმცა არა იმ სიჩქარით, რომლის იმედიც ჩვენ გვქონდა, თავს აღწევს აპათიისა და გულგრილობის ტყვეობას და გადის საკაცობრიო ღირებულებათა კამკამა წყალში, მიიწევს ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმის კურსით. აი ასე, შეუჩერებლივ მიმდინარეობს პოლიტიკური ეკონომიკური რეფორმები.

მთელი ის შიში, რომელსაც ზოგჯერ იწვევს ჩვენი ახალი კანონები, დაკავშირებულია, უწინარეს ყოვლისა, დემოკრატიის ურწყუნოებასთან, წარსულის გამეორების შიშთან. ვფიქრობ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საყრილობო პლატფორმის, პარტიის ახალი წესდების პროექტები — ეს არის დამატებითი გარანტიები იმისა, რომ წარსული აღარ გამეორდება.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ პროექტით დამკვიდრებულია მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა სრული დამოუკიდებლობა. და მაინც, წესდება ერთი წლით არ იქმნება. იგი იქმნება არა კომუნისტთა იზოლირებული ჯგუფის თუ ტერიტორიისათვის, არამედ საბჭოთა კავშირის მთელი კომუნისტური პარტიისათვის. ჯერჯერობით კი წესდების ზოგიერთი კარი დეკლარაციულია, ხოლო ცალკეული პარაგრაფების ფორმულირებებს გარდასული დროის აზროვნების კვალი ეტყობა.

როგორც ჩანს, არ არის საკმარისი მხოლოდ დაადასტურო, რომ უმეცრულობა ემორჩილება უმრავლესობას, პირდაპირ უნდა ჩაიწეროს, რომ პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებებს უსათუოდ უნდა ასრულებდეს ყველა პარტიული ორგანიზაცია თავიდან ბოლომდე. ბუნდოვნად არის ჩამოყალიბებული აგრეთვე პარტიის საკადროობის პრინციპები.

საგანგებოდ მინდა შეეეხო წესდების იმ კარისაც, სადაც ლაპარაკია სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პარტიულ ორგანიზაციებზე, განაგრძო ორატორმა. დღეს შეიარაღებული ძალების მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსობა ამხანაგმა ლიზიჩევმა შემოიტანა მთელი რიგი კონსტრუქციული წინადადებანი.

მაგრამ, ჩემი აზრით, ამ კარს მაინც სჭირდება დახვეწა, თუ გავითვალისწინებთ შექმნილ სიტუაციას, ახალი შინაარსი უნდა მიენიჭოს პოლიტორგან ო ბ ი ს ამოცანებს, და მათგან მთავარი უნდა იყოს არა მარტო პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობა, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ჯარისკაცთა და ოფიცრთა სოციალური დაცვა.

პოლიტორგანოების მუშაობის პრაქტიკაში აქტიურად უნდა დანერგოს პირადი შემადგენლობის განწყობილების სოციოლოგიური კვლევა. მიზანშეწონილია აგრეთვე ვიქონიოთ შესაბამისი ფსიქოლოგიური სამსახურები, ქვედანაყოფები, რომლებიც ეროვნებათშორისი ურთიერთ ო ბ ი ს პრობლემებზე იმუშავებენ. ამისათვის საჭიროა გადაისინჯოს პოლიტშემადგენლობის კადრების მომზადების სისტემაც.

ახლა ყოველი მხრიდან მოგვესმის მოწოდებანი საერთოდ უარი ვთქვათ არმიის პოლიტორგანოებზე იმ საბაბით, რომ მრავალპარტიულობის პირობებში ვითომდა აზრი ეკარგება მთელ მათ მუშაობას.

რა შეიძლება ითქვას ამასთან დაკავშირებით?

ჯერ ერთი, კონსტიტუციის მე-6 და მე-7 მუხლების წინანდელი რედაქციის გაუქმებით არავის არ გაუუქმებია მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია. მეორეც, არ არის ქვეყნად არმია, სადაც არ ჰქონდეთ ალმზრდელთა ინსტიტუტი, რომელიც მკაცრად აღევნების თვალს სწორედ პირადი შემადგენლობის მორალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას.

მბიანშეწონილად მიმაჩნია აგრეთვე პოლიტორგანოების უმთავრეს ამოცანად დაისახოს მიზანი — აღზარდონ პირადი შემადგენლობა საბჭოთა პატრიოტიზმის, ინტერნაციონალიზმის, მამულის, კოსმოტიტეიის, სამხედრო ფიცის ერთგულების, აგრეთვე ზნეობრივი ნორმების, პირადი ღირსების, სახელის, დისციპლინის განმტკიცების სულისკვეთებით.

ვფიქრობ, შეიარაღებულ ძალებში პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის სრულყოფასთან დაკავშირებული პრობლემების მთელი კომპლექსი, იმის გათვალისწინებით, რაც თითქმის 2 მილიონი კომუნისტის ინტერესებს შეეხება, უნდა დამუშავდეს რაც შეიძლება მალე, პარტიის XXVIII ყრილობისათვის.

იმაზე, თუ რა ნორმები და პრინციპები იქნება ჩაქსოვილი წესდებაში, დამოკიდებულია მთავარი: იქნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია განახლებული კომპარტია, თუ გახდება სხვა ტიპის პარტია; დარჩება ერთიანი თუ გადაიქცევა რაღაც ფაშარ კონგლომერატად, რისკენაც ჩვენ, სხვათა შორის, დაბეჯითებით გვბიძგებენ ცალკეული რეფორმატორები.

ასე დაიწყო გამოსვლა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **ს. ი. გურენკომ.**

ამ კითხვებზე პასუხს საარსებო მნიშვნელობა აქვს დღესაც და პერსპექტივაშიც, განაგრძო მან. აქ მსჯელობისგან უკვე ბევრი დარწმუნდა, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციის მეექვსე მუხლის რედაქციის შეცვლის შედეგად მკვეთრად გაძლიერდება თავდასხმები საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაზე, აქტიურდება დესტრუქციული ძალების ცდები — მოარყიონ და დაანგრიონ პარტიული სტრუქტურა, გზა დაუხსნონ მის საქმიანობას და საბოლოო ანგარიშით შეეცადონ ჩამოაშორონ პარტია პოლიტიკურ ასპარეზს. კერძოდ, საზოგადოებრივ აზრს ჯიუტად ახვევენ თავს წინადადებას, რომ საჭიროა გაუქმდეს პარტორგანიზაციები საწარმოებში, სასწავლებლებში, მთლიანად სახელმწიფო დაწესებულებებში, შეიარაღებულ ძალებსა და სამართალდამცავ ორგანოებში. ჩვენ კატეგორიულად უნდა უკუვაგდოთ ასეთი ცდები, და კარგია, რომ ეს აისახა წესდების პროექტში. ჩვენი პარტია მუშათა გარემომ შვა. ეს გარემო იყო მუდამ მისი ძლიერების წყარო და მტკიცე დასაყრდენი, და თუ ჩვენ არ გვინდა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია პოლიტიკათა ორგანიზაციად გადაიქცეს, თუ გვინდა, რომ პარტია ,,ქვლავაც იყოს მშრომელ ადამიანთა ინტერესების გამომხატველი, იგი ,,ვერ დათმობს და არც უნდა დათმოს არც ერთი სფერო, რომელიც საზოგადოების პრაქტიკულ საქმიანობასთან არის დაკავშირებული.

წესდების პროექტის ამ თვალსაზრისით განხილვისას ორატორმა გამოყო ორი მომენტი. ჯერ ერთი, თქვა მან, დოკუმენტი ხედმეტი დეტალიზაციის გარეშე შეიცავს ძირეულ ფუძემდებელ პრინციპებს, რომლებიც სავალდებულოა პარტიის ყველა ორგანიზაციისათვის. ეს მარტოოდენ ფორმის საკითხი როდია: მეტისმეტ რეგლამენტაციაზე უარის თქმის შედეგად, რომელიც გარკვეულად ბოჭავს დღეს პარტიულ ორგანიზაციებს, კომუნისტებს, გასაქანი ეძლევა ინიციატივას და ბოლოს და ბოლოს სტიმულდება გადასვლა აქტიურობასა და შემომქმედებაზე. ამას გარდა, გათვალისწინებ უ ლ ი ა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა დამოუკიდებლობის არსებითი გაფართოება, ცენტრთან მათი ურთიერთობის დემოკრატიზაცია. ჩვენი აზრით, ასეთი მიდგომა არათუ შეესაბამება პარტიაში განახლების მოთხოვნილებებს, არამედ საკმაოდ ეთანხმება ამ კიდეც რესპუბლიკების ეკონომიკური დამოუკიდებლობის გაფართოებას, მათი სუვერენიტეტის განმტკიცებას, შეესაბამება სახელშეკრულებო საფუძველზე საბჭოთა ფედერაციის პრინციპების ახალ შინაარსს.

წესდების პროექტის ერთ-ერთი დებულება, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიებს ეძღვნება, ვიპირებთ განვახორციელოთ უკვე უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უახლოეს პლენუმზე. განხილული იქნება უკრაინის კომპარტიის მოქმედების პროგრამის პროექტი და მისი სტატუსი, რომლებიც შემუშავებულია XXVIII ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტის და წესდების პროექტის საფუძველზე.

აღენიშნავთ რა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა დამოუკიდებლობის გაფართოების მთელ მნიშვნელობას, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მიდგომა დიალექტიკურად უნდა შეეხამებოდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იდეურ-ორგანიზაციული ერთიანობის განმტკიცებას. ასეთი ერთიანობის საფუძველი, ფუნდამენტი უნდა იყოს კომუნისტური იდეალი ერთგულება, რასაც გვავალებს ეკვე თავად პარტიის სახელწოდება. და მინდა, რომ ამ აზრზე გამახვილდეს ყურადღება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდებაში.

უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი შეეხო პროექტის იმ კარს, რომლებიც ეძღვნება სკკპ წევრობას, კომუნისტების მოვალეობებს. ყველა დებულება, რომლებიც უკავშირდება პარტიულობას, მის კრიტერიუმებს, აღნიშნა მან, ჩამოყალიბებული უნდა იყოს ერთმნიშვნელოვნად, და ნუ შეგვაშინებს ეს სიტყვა, მკაცრად. სხვაგვარად პარტიული ორგანიზაციები გადაიქცევა უფორმო, უსახურ სტრუქტურებად, რომლებშიც ყოფნა კაცს არაფერს არ ავალებს.

დასასრულ უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა თქვა, რომ საჭიროა კონკრეტული დებულებების შემუშავება პარტიული ორგანიზაციის იურიდიული და სამართლებრივი, მათ შორის ქონებრივი სტატუსის შესახებ.

შემდეგ გამოვიდა **ვ. ი. მიტროხინი,** მოსკოვის უმაღლესი პარტიული სკოლის პარტკომის მდივანი, რომელმაც აღნიშნა, რომ დღეს, როცა საზოგადოებრივი განვითარების წინააღმდეგობებმა ვეფეხანასა და პარტიაში უკიდურეს დაძაბულობას მიაღწია, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მათი მიზეზების ანალიზის, გადაწყვეტის საშუალებების ძიების დროს კვლევის მარქსისტული მეთოდოლოგიის გამოყენებას, რომელიც უაღრესად მკაფიოდ ჩამოაყალიბა ლენინმა ცნობილ ფორმულაში: ცხოვრების პირდაპირი მკვრეტელობიდან მისი შემოქმედებითი მეცნიერული გააზრებისაკენ და მხოლოდ შემდეგ პრაქტიკისაკენ, მოქმედებისაკენ. შორეულ და ირეალურ თორეულ წარსულში ლენინური ეტაპი ეს თავისებური სამკუთხედი გაანტიკულეს და გადაადგეს სწორხაზოვნად — ზერელე მჭვრეტელობიდან მოქმედებისაკენ.

საკითხების ხელოვნური სისადავის, საყოველთაო სიცხადისა და მათი გადაწყვეტის მეთოდების სწორხაზოვნების გამო ნოსტალგია ჩვენს დღეებშიც ვლინდება. სხვადასხვა სამოსლით იგი გაისმოდა სკკპ პრეამბულას, ეს კიდევ უფრო აუბნევს გონებას ადამიანებს, თითქოს საეჭვოდ გახდის პარტიის ბრძოლას სოციალიზმისათვის თავისი 87 წლის არსებობის მანძილზე.

წესდების პროექტში მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია შენდება ლენინურ იდეურ-ორგანიზაციულ პრინციპებზე.

ორატორმა განცვიფრება გამოთქვა პარტიის თეორეტიკოსების, პარტიის სამეცნიერო დაწესებულებების პასიურობის გამო სოციალისტურ საზოგადოებაში პარტიის შესახებ ლენინური მოძღვრების პრინციპული დებულებების, საერთოდ ლენინიზმის დაცვის საკითხებში.

ვფიქრობ, აღნიშნა სკკპ ტუვის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა, ისტორიკოსები, ოფლიმე ჩვენი წლების გაანალიზებასას, დაახასიათებენ მათ როგორც გასაოცარი იდეოლოგიური პასიურობის, უმოქმედობის პერიოდს. ვადიმ ანდრიას ძე მედვედევმა, ამხანაგმა კაპტომ, სხვებმა უნდა იმოქმედონ.

ყველაზე რთულ ყრილობისწინა პერიოდში, როცა მიმდინარეობს პოლარიზაცია, როცა ადამიანები ირჩევენ თავიანთ პოზიციებს, აქტიურად უნდა მუშაობდნენ საზოგადოებრივ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

(დასასრული)

შემდეგ დაისვა წინადადება წესდებაში დამკვიდრდეს პარტიული აპარატის ფორმირების ფუნქციური პრინციპი. „ბევრვით პარტიულ ორგანოს უნდა ჰქონდეს უფლება ამა თუ იმ ამოცანის შესასრულებლად მიიზიდოს მომზადებული, ავტორიტეტიანი მეცნიერები და სპეციალისტები.

ორატორი განსაკუთრებით შეეხო იმის საჭიროებას, რომ მოსკოვის პარტიულ ორგანიზაციებს მიენიჭოთ უფლება დამოუკიდებლად განსაზღვრონ ყრილობის დელეგატთა არჩევნების წესი, თვითონ დაადასონ ანგარიშგებანარჩევნების მოწყობის ვადები, უკეთ ყრილობამდე სამოქმედოდ შემოიღონ განსაბოლოველი წესდების დებულებანი, რომლებიც აფართოებენ პირველადი ორგანიზაციებისა და ადგილობრივი პარტიული ორგანოების უფლებებს, მათ შორის მათ განკარგულებაში დადასცენ საწევრო შენატანების დაანლოებით 50 პროცენტი.

აღნიშნა რა, რომ ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში ფართოდ მიმდინარეობს დისკუსია რუსეთის კომუნისტთა ყრილობისა თუ პარტიული კონფერენციის მოწვევის შესახებ, რომ ბევრ ქალაქში უკვე იქმნება საორგანიზაციო კომიტეტები, ორატორმა რუსეთის ბიურო გააფრთხილა ხელიდან არ გაუშვას ინიციატივა, თორემ ყრილობა შეიძლება სხვა ძალებმა მოაწყონ.

კომუნისტთა პარტია, თქვა **ვ. ვ. ჩიკანმა,** მინსკის საათის ქარხნის პარტკომის მდივანმა, სეროიზულად აღიარა ავად, თანაც ერთბაშად ბევრი სენიც სჭირს. მათ შორისაა შინაპარტიული ურთიერთობის ღრმა დეფორმაციაც, ჩვენი რიგების მეკონიუნქტურეებით, კარიერისტებით, და უბრალოდ შემთხვევითი ადამიანებით დანაგვიანება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ავტორიტეტს არსებითი ზიანი მიაყენა უკვე გარდაქმნის ეტაპზე დაშვებულმა შეცდომებმა და ხარვეზებმა. პარტია ალარ არის თანამოაზრეთა კავშირი.

სწორედ ამიტომაც მოგელოდით ასე დაძაბულად ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტს. პირდაპირ ვიტყვი, ჩვენს პარტიულ ორგანიზაციაში ეს დიდიხნის ნანატრი დოკუმენტი გარკვეულწილად გულაცრუებთ აღიქვეს. პროექტი კომპრომისის არცთუ ხეირიანი პირმშოა. და იგი ვერც იქნებოდა ხეირიანი, რადგან კომპრომისები კარგია მხოლოდ ტაქტიკის არჩევის დროს. სტრატეგიული მიზნის განსაზღვრისას კი ისინი ფუჭი და, ალბათ, მავნეა.

უნებურად იბადება კითხვა: ნუთუ პროექტის ავტორებსა და პარტიის ხელმძღვანელობას არ ესმით მთავარი, რის გამოც დღეს ბრბოკრობს ვნებათაღელვანი, ეს არის ჩვენს ურთიერთობაში მიწისა და წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრების დაშვება? იქნებ „თეთრ ყორნად“ გამოვიყურები, მაგრამ არ მჯერა, რომ კერძო საკუთრება გვიშველის, დაგვეხმარება თავი დავაღწიოთ ჭაობს, რომელშიც მოგვაქცევს უფნარო პარტიოლმა და სახელმწიფო მოღვაწეებმა მეკონიუნქტურე მეცნიერთა დახმარებით, რომლებიც ახლაც ზედა ფენებში არიან და „ბრძნულ“ რჩევა-დარიგებებს გვაძლევენ. კერძო საკუთრების პრობლემასთან და საბოლოო მიზნებთან დაკავშირებით ყველა პრინციპულ საკითხზე ცენტრალურმა კომიტეტმა დუმილის პოზიცია აირჩია. სერიოზულად ვშიშობ, ეს პოზიცია პარტიისათვის უბედურების ნიშანი არ გახდეს.

ჩვენი პარტია ჯერ კიდევ მმართველია და ამის შესაბამისად აკისრია კიდეც მთელი პასუხისმგებლობა ქვეყანაში შექმნილი ვითარებისათვის. რადგანაც საქმე არც ისე კარგად მიდის, მე და ჩემს კოლეგებს უბრალოდ მუშაობის დრო არა გვაქვს. სულ მუდამ თავს ვიმართლებთ სტალინური რეპრესიებისა და საქონლის დეფიციტის, ვიღაცის პრივილეგიებისა და კოოპერაციული ყაჩაღობის, სახელმწიფო აპარატისათვის ხელფასის მომატებისა და ეროვნებათაშორისი კონფლიქტების გამო. იმასაც კი გვისაყვედურებენ სოციალისტური ბანაკი, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა, საბჭოთა ფედერაცია დაანგრიეთო. და ვისმენთ საყვედურებს ბევრი, ბევრი რამისათვის, რაც სრულიადაც არ არის ჩვენი ბრალი.

ამატომ მინდა კომუნისტებს, რომლებსაც სახელმწიფოში ხელმძღვანელი პოსტები უკავიათ, და, უწინარეს ყოვლისა, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან მივმართო ასეთი წინადადებით: მოდით, ნუ დაველოდებით ყრილობას და წესდების დამტკიცებას და პრაქტიკულად დავიწყოთ პარტიული მასების ძალაუფლების პრინციპის ხორცშესხმა. მოდით, მორიგი საარსებოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას ნუ დავივიწყებთ მოვეთათბიროთ პარტიის საფუძველს — მის ქვედა ფენებს.

კარგი იქნებოდა ამასთან დაკავშირებით შეგვემუშავებინა მთელი პარტიის წინაშე კომუნისტ დეპუტატთა ანგარიშგების რაღაც სისტემა და იქიდან იმათი გამოწვევის მექანიზმი, ვინც თავის მოვალეობებს ვერ ართმევს თავს, არ იცავს პარტიას ღვარძლიანი გამოხდომებისაგან, რომლებიც სულ უფრო ხშირად და ხშირად გაისმის მისი მისამართით კრემლის ყრილობათა სასახლეში.

შემდეგ ორატორმა გამოთქვა მთელი რიგი შენიშვნები სკკპ წესდების პროექტის გამო. მისი აზრით, იგი ყველაფერში როდი უკავშირდება პლატფორმის პროექტს, პროექტის ავტორებმა რატომღაც ვერ გაბედეს ეხსენებინათ ორგანიზაციულ საფუძველად დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი, თუმცა ყველა მისი დებულება ფიქსირებულია დოკუმენტის ტექსტში. წესდების პირველ პარაგრაფში უნდა ჩაიწეროს, რომ სკკპ წევრობა შეუთავსებელია ყოველი ფორმით სხვისი შრომის ექსპლოატაციასთან, რითაც უნდა დავიცვათ ჩვენი რიგები საბჭოთა ბურუჟაზიისაგან, რომელიც ახლა იბადება.

სიტყვა ეძლევა **ა. ა. რუჟიცკის,** პარტიის ჩერკასის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს: მან, კერძოდ თქვა: მიმაჩნია რა წესდების პროექტი დიდ წინგადადგმულ ნაბიჯად პარტიის დემოკრატიზაციის, პარტიული ორგანიზაციების დამოუკიდებლობის, კომუნისტთა უფლებების გაფართოების გზაზე, ამავე დროს, ჩემი აზრით, საჭიროა მისი სეროზულად დახვეწა. გაუმართლებლად მესახება პრეამბულაში, პარტიის საპროგრამო მიზნის განსაზღვრისას, შემოვიფარგლოთ მხოლოდ ჰუმანური დემოკრატიული სოციალიზმის შექმნით და ამასთან დავკარგოთ კომუნისტური პერსპექტივა, რომელიც დაა საბუთებული მარქს-ენგელს-ლენინის შრომებში. ეს ამკარა დათმობაა იმათდამი, ვინც ცდილობს არა მარტო მოახდინოს პარტიის იდეური საფუძვლების რევიზია, არამედ მოსპოს ისინი. ვფიქრობ, პრინციპულად საჭიროა ჩავწეროთ შემდეგი: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თავის საქმიანობას საფუძვლად უდებს მარქსიზმ-ლენინიზმს და შემოქმედებითად ავითარებს ამ რევოლუციურ მატერიალისტურ მოძღვრებას, რომლის ბაზაზე და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე დაყრდნობით ყალიბდება პარტიელის პოლიტიკური და ზნეობრივი სახე.

უდავოა, რომ ახალ წესდებაში უფრო მკაფიოდ უნდა აისახოს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ინტერნაციონალისტთა პარტიაა, მტკიცედ უარყოფს წყობის ფედერაციულ პრინციპს, ესე იგი დავამკვიდროთ ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში XXVIII ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის იდეები.

შემდეგ ორატორმა გამოთქვა მთელი რიგი შენიშვნები წესდების პუნქტების გამო. პარაგრაფი 3. როგორც ჩანს, არ შეიძლება დავეთანხმოთ იმას, რომ პარტიის წევრობა არ ითვალისწინებს სკკპ წევრების მიერ პარტიული გადაწყვეტილებების შესრულების მოვალეობას. ჩემი რწმენით, ასეთი შიდგომა საერთოდ არ შეუწყობს ხელს იმ ამოცანების გადაწყვეტას, რომლებსაც ისახავს განახლებული პარტია, და გამოიწვევს პარტიული რიგების შესუსტებას.

მისი აზრით, მეხუთე პარაგრაფში უნდა შეეტანოთ მოთხოვნები იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თავის რიგებს წმენდს იმათგან, ვინც უარყოფს მის იდეურ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, მონაწილეობს ნაციონალისტურ, ანტისაბჭოურ ორგანიზაციებსა და მოქმედებაში, ანუ შეეუსაბამოთ იგი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმას.

საჭიროა გავამარტივოთ პარტიის რიგებში მიღების წესი, გამართლებული იქნება უარი ვთქვათ საკანდიდატო სტაჟზე, რთული ანკეტების შედგენაზე.

მე-6 პარაგრაფის მეორე აბზაცში უნდა აღინიშნოს, რომ დისკუსიები, რეფერენდუმები ეწყობა მეტი წილი პარტიული კომიტეტების გადაწყვეტილებით ან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მესამედის მოთხოვნით. განვსაზღვროთ, რა საკითხებზე იმართება ისინი, რადგან ცნება „აქტუალური“ ფრიად ბუნდოვანი და მეტისმეტად ზოგადია.

მითითება იმის შესახებ, რომ ყველა არჩევითის პირს პარტიაში ირჩევენ სულ ბევრი ორი ვადით ზედიზედ, ჩემი აზრით, მათ აყენებს არათანაბარ პირობებში რაიკომის, ქალაქკომისა და მათ მიმართ ზემდგომი კომიტეტების დონეზე. ერთისთვის ეს იქნება 5 წელი, სხვებისთვის — 10. მოდით, ვიფიქროთ, ღირს თუ არა უკვე ახლა უარი ვთქვათ „საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიზაციისა და პოლიტიკური სისტემის რეფორმის შესახებ“ XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის რეზოლუციაში ჩამოყალიბებულ თეზისზე ერთიანი ვადის დაწესების შესახებ: 5 წელი არჩევითი პარტიული ორგანოებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტიდან პარტის რაიკომებამდე.

დასასრულ ა. ა. რუჟიცკიმ თქვა: საჭიროდ და მიზანშეწონილად გვესახება გავაფართოოთ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების უფლებები და დავუტოვოთ მათ პირველადი ორგანიზაციების შექმნის, და არა მარტო რეგისტრაციის უფლება.

ძნელია არ შეამჩნიო განსახილველი პროექტის ღირსებანი, აღნიშნა თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მიდივანმა **ხ. ნიაზოვმა.** მრავალი მისი დებულება ნამდვილად ნოვატორული ხასიათისაა. ეს ეხება უწინარეს ყოვლისა, შინაპარტიული ცხოვრების დემოკრატიზაციას, პარტიული მასების ხელისუფლებას, ლენინური გაგებით პარტიული ორგანიზაციების ავტონომიის დაწესებას.

ამავე დროს, ორატორის აზრით, წესდების პროექტის დებულებათა ნაწილს გაღრმავებული ანალიზი და დახვეწა სჭირდება. პირველ ყოვლისა, მისი აზრით, უნდა დავამკვიდროთ კომუნისტური პარტიის ლენინური გამსაზღვრება, როშლის მიხედვით იგი უწინარეს ყოვლისა ემსახურება მშრომელებს, და არა მარტო ხელმძღვანელობს მასებს.

ვითვალისწინებთ რა გარდაქმნის პროცესების განვითარებას, ქვეყანაში საკუთრების მრავალფეროვანი ფორმების არსებობის უფლების ცნობას, აგრეთვე კომუნისტთა და უპარტიოთა მრავალრიცხოვან მოთხოვნებს, წესდებაში აგრეთვე უნდა აისახოს, რომ პარტიის დიდმნშვნელოვანი ამოცანაა მშრომელი ადამიანის დაცვა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის სისტემის დაბრუნების ცდებისაგან. ეს კი პარტიაზე ფანატიზაციებს. ავალებს არ შეანელონ უურადღება სოციალური პოლიტიკის საკითხებისადმი, ადამიანთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობებისადმი.

შეეხო რა პარტიული კომიტეტების პირველი მდივნებისა და სკკპ თავმჯდომარის არჩევის წესს, ორატორმა წამოაყენა შემდეგი ფორმულირება: „მათ ირჩევენ კანდიდატურების ფართო განხილვის დროს და კომუნისტთა აზრის მაქსიმალური გათვალისწინებით ფარული კენჭისყრით, უპირატესად ალტერნატიულ საფუძველზე“.

პარტიის მიერ ნამდვილი ავტორიტეტის, საბჭოთა საზოგადოებაში წამყვანი პოზიციების მოპოვება წარმოუდგენელია, თუ არ იქნა პარტიის წევრთა ნების ერთიანობა, მოქმედების სრული და უეჭველი ერთიანობა. ორატორის აზრით, პარტიის წყობის საფუძვლად უნდა შევინარჩუნოთ დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი, რა თქმა უნდა, ამასთან ერთად უნდა გავიაზროთ იგი და მოვახდინოთ მისი ტრანსფორმირება დემოკრატიზმის გაძლიერების მიმართულებით. უნდა ვცნოთ უმცირესობის უფლება ჰქონდეს და დაიცვას თავისი პოზიცია, რათა შესაძლებელი იყოს გარკვეული დროის შემდეგ კვლავ დავუბრუნდეთ სადავო წინადადებათა განხილვას. კომუნისტს საშუალება უნდა ჰქონდეს საჯაროდ დაიცვას თავისი თვალსაზრისი, რომელიც არ ემთხვევა უმრავლესობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, ოღონდ თუ იგი არ ეწინააღმდეგება სკკპ პროგრამასა და წესდებას.

ი. ნ. ზოგინმა, პარტიის ეუკოვსკის საქალაქო კომიტეტის (მოსკოვის ოლქი) პირველმა მდივანმა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის წევრებს გაეცო ქალაქის კომუნისტთა რეზოლუცია სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატების არჩევის წესის შესახებ.

სკკპ საქალაქო კომიტეტის პლენუმის აზრით, თქვა ორატორმა, დელეგატობის კანდიდატებს ასახელებენ მხოლოდ პირველადი პარტიული ორგანიზაციები. სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატების პირდაპირი, ფარული, ალტერნატიული საფუძველზე არჩევნები ეწყობა ერთმანდატიან ან მრავალმანდატიან პარტიულ ოლქებში, რომლებიც იქმნება რაიონული, საქალაქო (რაიონული დაყოფის გარეშე) პარტიული ორგანიზაციის საფუძველზე, აგრეთვე იმ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, სადაც კომუნისტთა რიცხვი შეესაბამება ან აღემატება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ დადგენილ წარმომადგენლობის ნორმას.

ერთმანდატიანი ან მრავალმანდატიანი სისტემით არჩევნების მოწყობის საკითხს. აგრეთვე თვით არჩევნების მოწყობის წესს წყვეტს რაიონული, საქალაქო პარტიული ორგანიზაცია პირველადი პარტიული ორგანიზაციების აზრის გათვალისწინებით.

იმ შემთხვევაში, თუ არჩევნები არ გაიმართა ან წარმოიშვა თავისუფალი მანდატები, გადაწყვეტილებას კენჭისყრის მეორე ტურისათვის დელეგატების არჩევის შემდგომი წესის, განმეორებითი არჩევნების, პარტკონფერენციაზე საკითხის ან ტანის შესახებ იღებენ საარჩევნო ოლქში შემავალი პარტიული ორგანიზაციები.

ეუკოვსკის საქალაქო კომიტეტის კომუნისტებმა წინადადება წამოაყენეს შეიქმნას სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან ცენტრალური საარჩევნო კომისია სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატების არჩევისათვის სამუშაოთა ორგანიზაციის, კოორდინაციის მიზნით და მისი შემადგენლობა გამოქვეყნდეს გაზეთ „პრავდაში“.

ორატორის აზრით, როცა წესდების პროექტს ცენტრალურ პრესაში ვაქვეყნებდით, საჭიროა იყო მაშინვე მიგვეცა ახსნა-განმარტებანი ფუძემდებლური მომენტების გამო: რატომ არის ასე და არა სხვანაირად, რით ვხელმძღვანელობდით, ვინ წამოაყენა ეს ფორმულირებანი და ასე შემდეგ? ეს, მისი აზრით, საშუალებას მისცემს კომუნისტებს გააკეთონ უფრო ზუსტი არჩევანი.

საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა განაცხადა: დღეს პირველადი პარტიული ორგანიზაციები ძალზე შეშფოთებულნი არიან იმით, რომ კონსტიტუციის მეექვსე მუხლის ამოღების გამო გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, არადა, ეტყობა, ასეც მოხდება, დაიწყოს კრიტიკა, დაიწყოს ყოველგვარი გამოსვლები და დაისვას საკითხი იმის შესახებ, რომ ეს პარტიული სტრუქტურები არ იყოს სამრეწველო საწარმოებში.

ორატორმა წინადადება წამოაყენა წესდების პროექტში ჩაწერონ დებულება, რომლის მიხედვით პარტიელებს პარტიულ ორგანიზაციებს, საქალაქო და რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ უფლება შეიმუშაონ და შესთავაზონ პოლიტიკური, ეროვნული, სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური, კულტურულ-ზნეობრივი ამოცანების გადაწყვეტის პროგრამა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და მოსახლეობას, გამოიტანონ შრომითი კოლექტივის განსახილველად, დაიცვან და უზრუნველყონ მათი შესრულება.

შეეხო რა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებს, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ის პროგრამა, რომელიც დამტკიცდა სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე, შესრულდება მხოლოდ მაშინ, თუ ყველა — პარტიაც, საბჭოებიც, კომკავშირიც, პროფკავშირებიც და ქვეყნის მოსახლეობაც სერიოზულად მოჰკიდებენ ხელს მის ხორცშესხმას.

მოყვანილი იყო ქალაქის პირველად და საამქრო პარტიულ ორგანიზაციებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმისა და სკკპ XXVIII ყრილობისათვის დემოკრატიული პლატფორმის განხილვის დასაწყისისათვის პირველი საცდელი სტატისტიკური მასალები. თანაფარდობა ასეთია: დაახლოებით 60-70 პროცენტი მხარს უჭერს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლატფორმას, დანარჩენები — დემოკრატიულ პლატფორმას. ორატორმა მოითხოვა გასწორონ სერიოზული მუშაობა პარტიულ ორგანიზაციებში ამა თუ იმ პოზიციის განმარტებისათვის, რომლებზეც სხვადასხვა აზრისა ვართ, ავხსნათ, რატომ ხდება ეს, რათა მოვახდინოთ ჩვენი რიგების კონსოლიდაცია, შევიმუშაოთ გამიჯვნის ტაქტიკა.

ამით დისკუსია დამთავრდა. საბოლოო სიტყვა წარმოთქვა **მ. ს. გორბაჩოვმა.** (სკკდესი).

საქართველოს ჟურნალისტთა ყრილობა

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი პროფესიონალ ჟურნალისტთა თავისუფალი, დამოუკიდებელი, ნებაყოფლობითი შეერთიანებითი გაერთიანება გახდა. გადაწყვეტილება ამის თაობაზე ერთსულოვნად მიიღეს რესპუბლიკის ჟურნალისტთა კორპუსის სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა, რომლებიც დადგენილ ვადაზე ორი წლით ადრე შეიკრიბნენ ყრილობაზე, რათა ზუსტად განესაზღვრათ თავიანთი ადგილი საქართველოში ამჟამად მიმდინარე რთულ პროცესებში, დაესახათ მისი სახელმწიფო დაწოწკიდებლობის აღდგენაში თავიანთი მონაწილეობის კონკრეტული პროგრამა. ეს ფორუმი, რომელიც ოფიციალური ქრონოლოგიით მერვე იყო, ყრილობის მონაწილეებმა ცნეს ქართველ ჟურნალისტთა დამოუკიდებელი შემოქმედებითი კავშირის პირველ, დამფუძნებელ ყრილობად.

სასამართლოს მუშაობას შეუდგებოდნენ, შეკრებილებმა ფეზზე ადგომით შეაგეს პატივი ბორბანდელი ტრაგიკული მოვლენების მსხვერპლთ, აგრეთვე ყრილობებს შუა პერიოდში გარდაცვლილ ჟურნალისტთა ხსოვნას.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას: ახლანდელი ყრილობა არ ჰგავდა არც ერთ წინა ყრილობას. თვით დღის წესრიგმა განსაზღვრა მსჯელობის არაორდინალურობა და სიმწვავე, ყოველი დელეგატის სწრაფვა შეეტანა წვლილი თავისი თვისებრივად ახალი პროფესიული ორგანიზაციის ფორმირებაში. ყრილობის ნაყოფიერ მუშაობას ხელი შეუწყო იმანაც, რომ იგი არ იყო, როგორც წინა წლებში, სცენარით დადგმული, მომამზადებელი ფორმალობებით აღსავსე. სკკპ-ბაასი იყო პირდაპირი და გულახდილი, გამოითქმებოდა მხოლოდ საქმის ინტერესებით ნაკარნახევი შეფასებები და წინადადებები. ყრილობის დემოკრატიულობა განაპირობა უკვე თვით მისი მოწყობის პროცედურამ. იგი დაიწყო არა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის საანგარიშო მოხსენებით, როგორც ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე, არამედ მისი სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ანგარიშით. რაც შეეხება საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის საანგარიშო მოხსენებას, იგი წინასწარ დაურიგეს დელეგატებს, რამაც მათ შესაძლებლობა მისცა გულმოდგინედ გასცნობოდნენ წარმოდგენილ დოკუმენტს და ზუსტად ჩამოეყალიბებინათ თავიანთი პოზიცია მათში მოცემული დებულებებისა და დასკვნების მიმართ. სხვათა შორის, ახლანდელი ყრილობის კიდევ ერთი სიახლე: კამათი გაჩაღდა მხოლოდ კავშირის გამგეობის თავმჯდომარის არჩევის შემდეგ. და ეს შემთხვევითი არ იყო. კამათის მონაწილეებს ხომ უფრო მეტად უნდა ემსჯელათ იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ახალი კავშირი, ვიდრე იმაზე, თუ როგორ მუშაობდა მისი გამგეობა წარსულში. თუმცა, გამგეობის თავმჯდომარის ნ. გ. ჩერქეზიშვილის მოკლე, მაგრამ შინაარსიანი გამოსვლა, შეიცავდა როგორც გაკეთებულის ანალიზს, ისე მომავალი მუშაობის სტრატეგიასა და ტაქტიკასაც.

სასამ თავმჯდომარის არჩევას შეუდგებოდა, ყრილობამ გადაწყვიტა: იმისათვის, რომ ჟურნალისტთა კავშირი დამოუკიდებელი, თავისუფალი, შემოქმედებითი კავშირი გახდეს, მისი თავმჯდომარე უნდა გახთავისუფლდეს სხვა თანამდებობიდან. თავმჯდომარის პოსტზე დაასახელეს სამი კანდიდატურა: გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი ნ. ჩერქეზიშვილი, საქართველოს სახტელერადიოს თავმჯდომარე ა. გოგელია და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივანი ზ. გომართელი. ამ ორნა უკანასკნელმა მოხსნა თავისი კანდიდატურა, დამაჯერებლად დაასაბუთა ასეთი გადაწყვეტილების მოტივი. რაც შეეხება ნ. ჩერქეზიშვილს, რომელიც ყრილობის დელეგატთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ აირჩია გამგეობის თავმჯდომარის პოსტზე, მან განაცხადა, რომ არ შეუთავსებს მას გაზეთის რედაქტორის თანამდებობას, რადგან დასახული გეგმების განხორციელება მაქსიმალურ ძალისხმევას და სრულ უკუგებას მოითხოვს.

კამათი გაჩაღდა არა მარტო გამგეობისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებების, არამედ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წესდებისა და ჟურნალისტის პროფესიული ეთიკის კოდექსის პროექტების გამოც. ორატორებმა ღრმად და ყოველმხრივ გააანალიზეს ამ ფუძემდებელი დოკუმენტების პრაქტიკულად ყოველი დებულება. აღინიშნა, რომ ჟურნალისტიკა უნდა ამკვიდრებდეს თავად და ხელს უწყობდეს ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივი პრინციპების დამკვიდრებას, ოპერატიულად და ობიექტურად აშუქებდეს ყველა პარტიის, საზოგადოების, ორგანიზაციისა და უწყების საქმიანობას, ემსახურებოდეს პროგრესს, ჰუმანიზმსა და დემოკრატიას. განსაკუთრებული სკა-ბაასის საგანი გახდა ნამდვილად თავისუფალი, დამოუკიდებელი შემოქმედებითი კავშირის სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფის, მონათესავე შემოქმედებით კავშირებთან და აკადემიებთან მისი ურთიერთობის მექანიზმის შემუშავებასთან დაკავშირებული საკითხები. გამოითქვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში პროფესიონალიზმის ფუნქციების გადანაწილების კონკრეტული წინადადებები. აღინიშნა, რომ კვლავაც უნდა გაფართოვდეს და გაღრმავდეს ჟურნალისტ კავშირურთიერთობა საზღვარგარეთელ პარტნიორებთან.

ყრილობამ საფუძვლად მიიღო წესდებისა და კოდექსის წარმოდგენილი პროექტები, რომლებიც გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ პრესაში გამოქვეყნდება. განსაკუთრებული მოწონებით შეხვდნენ კოდექსის ფუძემდებლურ ნაწილებს, რომელშიც ნათქვამია, რომ თუ გამომცემლობის ან რედაქციის ხელმძღვანელობის მითითება ეწინააღმდეგება საზოგადოებრივი ზნეობის მოთხოვნებს და პირადად ჟურნალისტს მრწამსს.

საქართველოს ჟურნალისტთა ყრილობა, რომელსაც კარგად ესმის ბეჭდვითი სიტყვის ჭეშმარიტი თავისუფლება, თვლის რომ ყველა პარტიულ და პოლიტიკურ გაერთიანებას უნდა ჰქონდეს თავისი ბეჭდვითი ორგანო. თავისუფალი პრესა, ტელევიზია და რადიომაუწყებლობა გამართულ ფინანსურ და ტექნიკურ საწყისებს უნდა დაემყაროს. ეს უახლოესი მომავლის საქმეა. დღევანდელ რეალურ პირობებში კი ყრილობას აუცილებლად მიაჩნია რესპუბლიკაში არსებული პოლიგრაფიული სიმძლავრეები გამოვიყენოთ თანასწორუფლებიანობის საფუძველზე.

ყრილობა, რომელიც ეროვნული აღორძინების, რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ვითარებაში მიმდინარეობს, მოუწოდებს ყველა ჟურნალისტს — მართალი სიტყვით, ბატიოსნად და შემართებით, აქტიურად იმოქმედოს საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

საქართველოს ჟურნალისტთა ყრილობის
მ ი მ ა რ თ ვ ა
რესპუბლიკის ჟურნალისტებს

ძვირფასო კოლეგებო!

ჩვენი დღევანდელი ყრილობა უმნიშვნელოვანესი ეტაპია პროფესიონალ ჟურნალისტთა თავისუფალი, დამოუკიდებელი, ნებაყოფლობითი გაერთიანებების ჩამოყალიბების გზაზე.

ახლანდელ, წინაალმდეგობებით აღსავსე დროში, როცა ერთა თვითგამორკვევისათვის ბრძოლის რთულ სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს ერთვის სწრაფვა თავისუფალი აზროვნების აღორძინებისაკენ, იქმნება რაიმე თავმოხვეული ზეგავლენისაგან თავისუფალი, დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს რესპუბლიკაში თავისუფალი სიტყვის, თავისუფალი პრესის პრინციპების დამკვიდრებას.

საქართველოს დამოუკიდებელ ჟურნალისტთა კავშირს თავის უპირველეს ამოცანად მიაჩნია იდგეს თავისუფალი აზრის გამოთქმის სადარაჯოზე, იბრძოლოს თითოეული წევრის კანონიერი უფლებებისა და სრული შემოქმედებითი თავისუფლების მისაღწევად, იზრუნოს ჟურნალისტთა პროფესიული ეთიკის დასაცავად, რადგან ჟურნალისტი მოვალეა მართლად, ობიექტურად ასახავდეს სინამდვილეს და უარი თქვას სარედაქციო დავალების შესრულებაზე, თუ გამომცემლის ან რედაქციის ხელმძღვანელობის მითითება ეწინააღმდეგება საზოგადოებრივი ზნეობის მოთხოვნებს და პირადად ჟურნალისტს მრწამსს.

საქართველოს ჟურნალისტთა ყრილობა, რომელსაც კარგად ესმის ბეჭდვითი სიტყვის ჭეშმარიტი თავისუფლება, თვლის რომ ყველა პარტიულ და პოლიტიკურ გაერთიანებას უნდა ჰქონდეს თავისი ბეჭდვითი ორგანო. თავისუფალი პრესა, ტელევიზია და რადიომაუწყებლობა გამართულ ფინანსურ და ტექნიკურ საწყისებს უნდა დაემყაროს. ეს უახლოესი მომავლის საქმეა. დღევანდელ რეალურ პირობებში კი ყრილობას აუცილებლად მიაჩნია რესპუბლიკაში არსებული პოლიგრაფიული სიმძლავრეები გამოვიყენოთ თანასწორუფლებიანობის საფუძველზე.

ყრილობა, რომელიც ეროვნული აღორძინების, რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ვითარებაში მიმდინარეობს, მოუწოდებს ყველა ჟურნალისტს — მართალი სიტყვით, ბატიოსნად და შემართებით, აქტიურად იმოქმედოს საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

(საქინფორმი).

საქართველოს ეკლესია დამოუკიდებელია!

ძნელად გვყავდეს უფალი მუდამ!..

ამ რამდენიმე დღის წინათ რესპუბლიკას საინტერესო ცნობა მოედო — საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია სცნო მსოფლიო საპატრიარქომ. ჩვენ კორესპონდენტს ესაუბრა თბილისის სასულიერო სემინარიის და აკადემიის რექტორი პროტოპრესვიტერი ბიორგი.

— **მამაო გიორგი, თუ შეიძლება მკითხველს ჯერ ოდიოდე სიტყვა ეკლესიათა ავტოკეფალიის ისტორიიდან ვუთხრათ, რათა უფრო საცნაური შეიქმას დღესდღეობით საქართველოს ეკლესიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების მნიშვნელოვანი ფაქტი.**

— მსოფლიოში ავტოკეფალიის საკითხი IV-V საუკუნეში დაისვა, როდესაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა და ეკლესიის ამქვეყნიური მოღვაწეობის მასშტაბები გაიზარდა. საჭირო გახდა ადგილობრივი ეკლესიების სტატუსის დადგენა, მათი ურთიერთდამოკიდებულების და დაქვემდებარების გარკვევა. ეი მაშინ გადაწყდა ზოგიერთი ეკლესია დამოუკიდებლად გამოცხადებულიყო, ზოგიც — მათდამი დაქვემდებარებულად.

— **რის მიხედვით?**

— ავტოკეფალია მიენიჭათ მოციქულთა მიერ დაარსებულ ეკლესიებს და ბუნებრივია, რადგან ქართული ეკლესია ანდრია პირველწოდებულის, პეტრე მოციქულის ძმის, სვიმონ კანანელის და მატათა მოციქულების დაარსებულია, ავტოკეფალია მაშინვე, V საუკუნეში ვახტანგ გორგასლის მეფობის ხანაში, მიიღო.

— **დიფტიქის საკითხიც მაშინვე გადაწყდა?**

— დიახ. მაშინვე დადგინდა დიფტიქი, ანუ ეკლესიათა დასახელების თახამიდევრობა მათი ავტორიტეტის, ღირსების მიხედვით.

— **საინტერესოა, როგორი იყო ეს თანამიმდევრობა?**

— კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის ეკლესიები და ასე...

— **ჩვენი ეკლესია ამ სიაში რომელ ნომრად მოიხსენიებოდა?**

— მეექვსედ.

— **მერე როდისღა დაკარგა საქართველოს ეკლესიამ დამოუკიდებლობა.**

— მოვლენები ასე განვითარდა: ჩვენმა ეკლესიამ ავტოკეფალია მაშინ ანტიოქიის ეკლესიისაგან მიიღო, რადგან სრულიად აღმოსავლეთის ქვეყნების ეკლესიები მის გამგებლობაში შედიოდა. მოგვიანებით, როდესაც კონსტანტინეპოლის ეკლესია გაძლიერდა, ავტოკეფალიის საკითხს უკვე ის და მსოფლიო კრება წყვეტდა. აქედან გამომდინარე კონსტანტინეპოლის საპატრიარქო ჩვენი ეკლესიის დამოუკიდებლობას კანონიკურად არ მიიჩნევდა. საქმეს ართულებდა ისიც, რომ 1811 წელს რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია დაუკარგა და იგი რუსეთის სინოდს დაუქვემდებარა. აქ საქმეებს ამ სინოდის დანიშნული ეგზარქ